გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№29 (924) 26 - 27 მარტი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

SOS ნაციონალების ხაფანგი

გეგმა, რომელიც დათა ახალაიას კაბინეტში გადალებული ვიდეოკომპრომატის გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდება

ახალი ვიდეოს გავრცელება მიმდინარე კვირაში, სავარაუდოდ, პარასკევს, საღამოს იგეგმება, შაბათს ეს ამბავი მთავარი თემა იქნება, კვირიდან კი ინტერნეტსივრცეს ახალი ვიდეოები წალეკავს

გვ. 2

კომპრომატი დაიდება დათა ახალაიაზე — პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო, რომელიც თავის დროზე, თავად ახალაიამ გადაიღო თავისი მოადგილის კაბინეტში და საგულდაგულოდ ინახავდა... ამის შემდეგ ნაციონალები იტყვიან, რომ ხელისუფლებამ დაარღვია შეთანხმება და ინტერნეტსივრცეს „ქართული ოცნების“ ლიდერთა ვიდეოები წალეკავს

თათუხაშვილების ოჯახის ტრაგედია 2007 წლის კოდორის სპეცოპერაციას უკავშირდება

ვინ იქნება შემდეგი — შინაგანი ჯარის ყოფილი მეთაური შვილის სიკვდილში ხელისუფლებას ადანაშაულებს

გვ. 3

„ჭვ 25“-ის დამფუძნებლის სკანდალური განცხადება და ეკონომიკური დანაშაულის ფაქტები, რომელზეც მიხეილ სააკაშვილს დაკითხავენ

გვ. 5

„ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება“

გვ. 2

შინაგან საქმეთა სამინისტროში ანტინარკოტიკული კამპანიის პრეზენტაცია გაიმართა

ფონდი „ნატახტარი“ მადლობას უხდის ყველას, ვინც პროექტის — „იზრუნე მომავალზე“ წარმატებაში მონაწილეობა მიიღო

გვ. 6

SOS – ნაციონალების ხაფანგი



გეგმა, რომელიც დათა ახალაიას კაბინეტში გადაღებული ვიდეოკომპრომატის გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდება

გიორგი იაშვილი

თუ გახსოვთ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ნაციონალური მოძრაობის წევრები სოციალურ ქსელებში აპრილს აანონსებდნენ. მაშინ ამბობდნენ, რომ აპრილში მასშტაბური საპროტესტო აქციები იგეგმებოდა და ხელისუფლების შეცვლას ნაცადი ხერხით ანუ ქუჩიდან შეეცდებოდნენ. მაშინ ამის არც საფუძველი არსებობდა და არც მზაობა იმისა, რომ ნაციონალებს მოსახლეობა გაჰყოლოდა. ახლა კი, ერთი წლის შემდეგ, ნაციონალები ისევ აპრილს აანონსებენ. მათ შინაგანად სჯერათ, რომ ხალხის გარკვეულ ნაწილს აიყოლიებენ, ხოლო მიზეზად იმას ასახელებენ, თითქოს ახალი ხელისუფლება რუსულ გზას ირჩევს. ეს ყველაფერი იმის ფონზე, რომ მთავრობა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების დაჩქარებას ცდილობს და, პარალელურად, მაპ-ის მიღების კუთხით, სერიოზულ ნაბიჯებს დგამს.

24 მარტს, კინოს სახლთან მომხდარი ინციდენტიც ამის რეპეტიცია იყო და წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ შემდეგ აქციაზე არა 50, არამედ 1000 კაცი მივა. ნაციონალებს 1000 კაცის გამოყვანა, რეალურად, შეუძლიათ და თუ პროვოკაციას კარგად დაგეგმავენ, არც არეულობის ინსცენირება იქნება რთული. ამ ყველაფრის ფონზე ინტერნეტში კომპრომატების გამოქვეყნება იგეგმება. პირველად ნაციონალების ერთ-ერთ მაღალჩინოსანზე დაიდება კომპრომატები, მერე კი, ამის საპასუხოდ უკვე მოქმედი ხელისუფლების წევრებზე გავრცელდება ვიდეოები. სავარაუდოდ, ამას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვება.

„კომპრომატი დაიდება დათა ახალაიაზე. უფრო ზუსტად კი, დაიდება პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო, რომელშიც დათა ახალაია იქნება მთავარ როლში. თავის დროზე, ეს ვიდეო თავად ახალაიამ გადაიღო თავისი მოადგილის კაბინეტში და საგულდაგულოდ ინახავდა, მაგრამ შემდეგ ამ ვიდეოს ასლი გაკეთდა და ის რამდენიმე ადამიანს აქვს. ამ ვიდეოს გავრცელების შემდეგ, ნაციონალები იტყვიან, რომ ხელისუფლებამ დაარღვია შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები არ უნდა გავრცელებულიყო და ინტერნეტსივრცეს „ქართული ოცნების“ ლიდერთა ვიდეოები წალეკავს. სხვათა შორის, იმ ვიდეოში დათა „ვიღაცასთან“ ერთად არ არის და მის პარტნიორს საზოგადოება ძალიან კარგად იცნობს“, — ეს განცხადება ჩვენთან ერთ-ერთმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა გააკეთა.

რეალურად, იმ კადრების დიდი ნაწილი, რომელიც დათა ახალაიამ გაიტანა ქვეყნიდან, სოსო თოფურიძესაც აქვს. თოფურიძესა და ახალაიას შორის შავმა კატამ გაირბინა და ისინი უკვე ერთად აღარ არიან. უფრო ზუსტად კი, ახალაიამ თოფურიძე და მასთან ერთად მყოფი რამდენიმე პიროვნება უკვე მიატოვა და თურქეთიდანაც გაუჩინარდა. მან წაიღო ფული და დისკები, თუმცა ნაწილის გადამალვა მანამდე მოხერხდა და ახლა სწორედ ამ დისკებით მიდის ვაჭრობა როგორც ნაციონალურ მოძრაობასთან, ისე მოქმედ ხელისუფლებასთან.

„თოფურიძე მზადაა, საქართველოში დაბრუნდეს და ხელისუფლებასთან ითანამშრომლოს. ის მზადაა, ციხეშიც ჩაჯდეს, თუმცა მაქსიმუმ სამ წელს ითხოვს, სანაცვლოდ კი იმ ფასდაუდებელი ინფორმაციის მიწოდებას აპირებს, რომელიც მას გააჩნია — იქნება ეს ვიდეოჩანაწერები, ოფიციალური დოკუმენტაცია თუ საიდუმლო ბრძანებები. რეალურად, თოფურიძე პაიკი იყო და ის დავალებებს ასრულებდა. როგორც მითხრეს, სოსოს რეკომენდაციას, ცოტა ხნის წინ დაკავებული, მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე, დავით ჩხატარაშვილი უწევს. სწორედ ჩხატარაშვილის ალაპარაკების შემდეგ გახდა შესაძლებელი მიხეილ სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარება და მის მიერ მიწოდებული მასალებით დაკითხვაზე კიდევ არაერთ ყოფილ მაღალჩინოსანს დაიბარებენ. სანაცვლოდ კი ის მაქსიმუმ სამ წელს მიიღებს და ეს კომბინაცია თოფურიძესაც აწყობს“, — აცხადებს „ვერსიის“ წყარო.

მართლაც, ჩხატარაშვილის დაკავება ისე მიჩუმათდა, თითქოს ვიღაც რიგითი კრიმინალი დააპატიმრეს. არადა, მთავარი პროკურორის პირველ მოადგილესა და რაც მთავარია, უშუალოდ, ზურაბ ადეიშვილის კადრს, წვდომა ნებისმიერ ინფორმაციაზე რომ ექნებოდა, ძნელი მისახვედრი არაა. მისი დაკავების შემდეგ ის თითქოს გაქრა, არც არსებობს, მაგრამ, რეალურად, ყველაზე ფასდაუდებელ ცნობებს მისგან იღებენ.

ჩვენივე წყაროს ინფორმაციით, ახალი ვიდეოს გავრცელება მიმდინარე კვირაში, სავარაუდოდ, პარასკევს, საღამოს იგეგმება, შაბათს ეს ამბავი მთავარი თემა იქნება, კვირიდან კი ინტერნეტსივრცეს ახალი ვიდეოები წალეკავს. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ გასავრცელებლად გამზადებულ ვიდეოებს შორის ერთ-ერთი, სულ რაღაც ერთი თვის წინაა გადაღებული და მასში მოქმედი პარლამენტარი ფიგურირებს. ის დეტალურად ჰყვება სქემას, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ხალხის მობილიზაცია, აქციების დაგეგმვა, შემდეგ მუხტის გაზრდა და აქციების პიკის დროს საქართველოში მიხეილ სააკაშვილის, როგორც ეროვნული გმირის დაბრუნება. სავარაუდოდ, მანამდე სააკაშვილს ძებნილად გამოაცხადებენ, რადგან პროკურატურაში დაკითხვაზე მისი მისვლა გამორიცხულია. მიშა შემდეგ ჩამოვა და შეეცდება, მიმდინარე აქციები ისე წარმართოს, რომ ყველაფერი „დემოკრატიული გადატრიალებით“ დასრულდეს. საამისოდ ის ზონდერებიც მზად არიან, წლების განმავლობაში რომ არბევდნენ მომიტინგეებს და დღემდე არც ერთი არ დასჯილა.

„ზონდერების უბან-უბან არჩევდნენ. ისინი რიგითი ადამიანები არ იყვნენ, ისინი ე.წ. უბნის ყოჩები გახლდნენ, დიდი საძმაკაცოთი და სწორედ ისინი გაჰყავდათ მიტინგზე ხალხის დასარბევად. სანაცვლოდ, ხელშეუხებლობის გარანტიებს, მცირე ბიზნესსა და ზოგადად, ნაციონალურ მოძრაობასთან კარგ ურთიერთობას იღებდნენ. არც ერთი მათგანი არ დასჯილა და ამით გათამამებულები, მზად არიან, კვლავ ემსახურონ ნაცებს. ორი მათგანი კინოს სახლთან მიმდინარე აქციაზეც იყო და მალე სხვებიც გამოჩნდებიან“, — ამბობს ჩვენი წყარო.

ისე, თუ დავაკვირდებით, ამ ფონზე ხელისუფლება ზედმეტად მშვიდია. ეს მაშინ, როცა ნაციონალების ბანაკში უკვე გამალებული მზადებაა დაწყებული და ამას ვერც სოციალურ ქსელებში მალავენ. უკვე გაჩნდა დევიზები „ბიძინა მოვდივართ“, „ძირს რუსი ოლიგარქი“ და ეს იმის ფონზე, რომ თავად ივანიშვილი პროცესებში, პრაქტიკულად, აღარ ერევა და მუდმივად იმეორებს, ჩვენი გზა მხოლოდ ევროკავშირსა და ნატო-ზე გადისო. რამდენად წამოეგება ამომრჩეველი ამას, მალე გამოჩნდება, ქუჩამდე კი ინტერნეტდაპირისპირების მოლოდინია.

ვერსიანიუსი

„ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება“

შინაგან საქმეთა სამინისტროში ანტინარკოტიკული კამპანიის პრეზენტაცია გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროში ე.წ. ბიოს მოხმარების წინააღმდეგ მიმართული ანტინარკოტიკული საგანმანათლებლო კამპანიის და კამპანიის ფარგლებში მომზადებული საინფორმაციო რგოლების პრეზენტაცია გაიმართა.

კამპანიის მიზანია ე.წ. ბიონარკოტიკის გამოყენების პრევენცია და მოსახლეობის ინფორმირება. კამპანიის ფარგლებში გადაღებულ საინფორმაციო ვიდეორგოლებში მონაწილე ექიმები მოქალაქეებს მიაწოდებენ ინფორმაციას, თუ რა საფრთხეებს შეიცავს მათი ჯანმრთელობისთვის ე.წ. ბიონარკოტიკის მოხმარება. საინფორმაციო რგოლები ტელე და რადიოეთერში, კინოთეატრებსა და სოციალურ ქსელებში განთავსდება. შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ის მიერ ასევე მომზადებულია საინფორმაციო რგოლი, რომლის მეშვეობით საზოგადოება იმ პირველადი სიმპტომების შესახებ შეიტყობს, რაც ე.წ. ბიოს მოხმარებას ახასიათებს და აღნიშნული სიმპტომების შემთხვევაში, სასწრაფო დახმარების გამოძახების აუცილებლობაზე მიიღებს ინფორმაციას.

ანტირაკოტიკული კამპანიის სლოგანია „ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება“.

ღონისძიებას შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ლევან ყიფიანი, ასევე რგოლებში მონაწილე ექიმები – ნარკოლოგი თათა ასათიანი, ფსიქოლოგი მარინა კაჭარავა, სექსოლოგი ანდრო კანდელაკი და ექსპერტ-ნარკოლოგები — გელა ლეჟავა და ზურაბ სიხარულიძე ესწრებოდნენ.

„ვერსიანიუსი“

თათუხაშვილების ოჯახის ტრაგედია 2007 წლის კოდორის სპეცოპერაციას უკავშირდება

ვინ იქნება შემდეგი — შინაგანი ჯარის ყოფილი მეთაური შვილის სიკვდილში ხელისუფლებას ადანაშაულებს

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

გენერალ გოგი თათუხაშვილის ვაჟმა, შალვა თათუხაშვილმა სიცოცხლე საკუთარ სახლშიდაასრულა. ოჯახის წევრების განმარტებით, სამართალდამცავების მხრიდან ზეწოლისა და მძიმე დეპრესიის შემდეგ, მას გული გაუჩერდა. შვილის გარდაცვალებაში გოგი თათუხაშვილი ხელისუფლებას ადანაშაულებს: „მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, რომ შალვა მძიმე ავადმყოფია, პროკურატურას ხანგრძლივად ჰყავდა გატაცებული და აგრძელებდა ზეწოლას, წამებას, რამაც იგი სიკვდილამდე მიიყვანა (24 მარტს გაუჩერდა გული). პასუხისმგებლობას მომხდარზე ვაკისრებ მთავრობას“, — ეს განცხადება შვილმკვდარმა მამამ იმავე დღეს Facebook-ის მეშვეობით გაავრცელა. რაში დასჭირდა პროკურატურას შალვა თათუხაშვილი — ოფიციალურად, დათა ახალიას საქმესთან დაკავშირებით, თუმცა გენერალი გოგი თათუხაშვილი მიიჩნევს, რომ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის, შალვა თათუხაშვილის დაკითხვა 2007 წელს კოდორის სპეცოპერაციას უკავშირდება. „ვერსიის“ ინფორმაციით, რუსეთი უკვე 5 წელია, ორი დაღუპული და შვიდი მძევლადაყვანილი ოფიცრის გამო, სპეცოპერაციის მონაწილეების დასჯას ითხოვს. „ვერსიამ“ შალვა თათუხაშვილის ტრაგედიის რამდენიმე დეტალი მოიპოვა.

წლის 19 მარტს, დავით ახალაიას ინტერესების დამცველმა ადვოკატმა, მის მიმართ დავნიშნე სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. ცხადია, გამოძიება მიხვდა, რომ ექსპერტიზის დასკვნა დაადასტურებდა „მოწმის“ ფსიქიკურ დაავადებას, რის შედეგადაც, შალვა თათუხაშვილის მიერ, ძალადობის ქვეშ ხელმოწერილი დავით ახალაიას მამხილებელი ჩვენება მტკიცებით ძალას დაკარგავდა. სამწუხაროდ, ექსპერტიზის დანიშვნიდან ოთხ დღეში, შალვა თათუხაშვილი უეცარი სიკვდილით გარდაიცვალა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას პირადად ვესწრებოდი, საკუთარი თვალით ვიხილე, რომ შალვა თათუხაშვილს ხერხემლის არეში აღენიშნებოდა მოზრდილი ზომის ჰემატომის კვალი. მკლავის, მუხლებისა და მარცხენა ფეხის კოჭის საპროექციო არეში, აღინიშნებოდა ფუფხით დაფარული დაზიანებები“.

ცხადია, პროკურატურამ ალბათ იცოდა, ფსიქიკური აშლილობის მქონე შალვა თათუხაშვილი მოწმედ რომ ვერ გამოდგებოდა და თუ ასეა, რა მიზანი ამოძრავებდა გამოძიებას? გოგი თათუხაშვილის განმარტებით, შალვა მისი ოჯახის ერთადერთი წევრი არაა, ვისზედაც ზეწოლა ხორციელდებოდა. მისი თქმით, სხვადასხვა შეთითხნილ საქმეზე მისი ოჯახის წევრები არაერთხელ დაიბარეს პროკურატურაში. ოჯახის წევრების გატაცებით ემუქრებოდნენ მის მეორე ვაჟს, მიხეილს. ეს უკანასკნელიც რამდენჯერმე დაიკითხა, ბოლოს — შალვას გატაცების შემდეგ, ზეწოლისა და მუქარის ფონზე. მიხეილ თათუხაშვილი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია კრივში, დამთავრებული აქვს სნაიპერთა, სამთო, ჟანდარმერიისა და საინჟინრო-მესანგრეთა კურსები. არის ომის ვეტერანი და ორი შვილის მამა. ისიც, შალვასთან ერთად, 2003 წლის რევოლუციის დროს, მამას გვერდით ედგა, თუმცა ამისათვის თანამდებობით არავის დაუჯილდოვებია. ძმები თათუხაშვილები იბრძოდნენ 2004 წელსაც სამაჩაბლოში და 2008 წელსაც, აგვისტოს ომში. თავად გოგი თათუხაშვილი კი საქართველოს ყველა ომის მონაწილეა. თადარიგში გასვლის შემდეგ, ომის ვეტერანთა უფლებების დასაცავად იბრძოდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სათავეში ჩაუდგა საქართველოს შინაგან ჯარებს და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მას. მოგვიანებით, პრინციპულ საკითხებში შეუთანხმებლობის გამო, გადადგა და პენსიაზე გასვლა მოითხოვა, თუმცა საკითხი დღემდე განხილვაშია. 2013 წლის ბოლოს კი, რადგან, როგორც თავად ამბობს, პრინციპებით არც „წითლების“ გუნდში ითვლებოდა და არც „ცისფრების“, დატოვა საქართველო.

გიორგი თათუხაშვილის მტკიცებით, მხოლოდ სამხედრო და „რევოლუციური“ წარსული არაა მიზეზი, რომ მისი ოჯახი ახალმა ხელისუფლებამ მიზანში ამოიღო. **„მიმართვა რუსული კაპიტალით დანიშნულ პრეზიდენტს, მთავრობას, პროკურატურის თანამშრომლებს! თქვენ გამოძრავებთ რუსეთთან მოვალეობის მოხდა, რისთვისაც მზად ხართ, 2007 წლის კოდორის ოპერაციის ნებისმიერ მონაწილეს შეუთითხნოთ ბრალდებები. რუსეთთან ხელშეკრულებაში აიღეთ ვალდებულება, „გააპრავოთ“ მათი ქმედება საქართველოში და გაამტყუნოთ ქართული მხარე. ეს, ნაწილობრივ, უკვე გააკეთეთ. აღიარეთ, რომ რუსეთის ჯარს 2008 წელს არ ჩაუდენია სამხედრო დანაშაული საქართველოში და დამნაშავეებს ეძებთ ქართველ მებრძოლთა შორის. ხელშეკრულების მეორე პუნქტი 2007 წლის სექტემბრის ოპერაციის მონაწილეების დასჯაა“,** — მიმართავს სოციალური ქსელის მეშვეობით ხელისუფლებას გენერალი თათუხაშვილი.

რა მოხდა 2007 წელს? 20 სექტემბერს სოხუმიდან გადმოსული დივერსანტების ჯგუფი, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ზემო აფხაზეთში, მშენებარე გზის აფეთქებას აპირებდა. გზა, რომლის მშენებლობაც მალე დასრულდებოდა, ჩვენთვის სტრატეგიული მნიშვნელობის იყო და დანარჩენ საქართველოს რთულად მისადგომ სვანეთთან აკავშირებს. გზის მშენებლობა, ცხადია, არ აწყობდა რუსეთს, რომელიც საბოლოოდ დაკარგავდა კოდორს, ქართული მხარე კი სოხუმიდან 2 საათის სავალზე გადაჭიმული რეგიონის სრულ კონტროლს შეძლებდა. სპეცოპერაციის დროს, ქართველ და აფხაზ სამხედროებს შორის შეტაკება მოხდა. წინააღმდეგობის გაწევის გამო, ქართული მხარე იძულებული გახდა, ცეცხლი გაეხსნა, რის შედეგადაც, 2 ადამიანი დაიღუპა, 7 დააკავეს. მომხდარის შესახებ, თავის დროზე, გაერო-ს ასამბლეის ტრიბუნიდან, საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პასუხისმგებლობა დააკისრა რუსულ მხარეს, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, კრემლი სხვა ვერსიას ავრცელებდა — რუსული მედია აჭრელდა სტატიებით: „ქართული დანაშაული“, „ქართული მხარე პროვოკაციებს გეგმავს“, „ქართველები ხოცავენ მშვიდობისმყოფელებს“... გაერო-ში რუსეთის მუდმივი წარმომადგენელი ვიტალი ჩურკინი ავრცელებდა ინფორმაციას, თითქოს ქართველი სამხედროები, აფხაზეთში, საწვრთნელ ანტიტერორისტულ ცენტრში შეიჭრნენ და სისხლიანი დილა მოაწყვეს, 2 რუსი ინსტრუქტორი ჯერ დაჭრეს, შემდეგ დანითა და საკონტროლო გასროლით მოკლეს. აფხაზეთის თვითგამოცხადებული პრეზიდენტი ბაღაფში კი ფოტომასალას ავრცელებდა, სადაც „მის ტერიტორიაზე შეჭრილი ქართველი სამხედროების ტერორისტული ქმედებები“ იყო აღწერილი. რამდენიმე დღის განმავლობაში, ინციდენტისას გარდაცვლილების გვარები გასაიდუმლოებული იყო. მას აფხაზებადაც მოიაზრებდნენ, მაგრამ ფოტოებისა და სხვა მასალების გამომზეურების შემდეგ, გაირკვა, რომ კოდორში სპეცოპერაციისას ორი რუსი ოფიცერი: არტურ დვორკინი და იგორ მუზოვარკინი დაიღუპა. **„გვაქვს მტკიცებულებები და ვიცით გვარები, ვინც ამ ოპერაციაში მონაწილეობდა“,** — აცხადებდნენ მაშინ რუსი მაღალჩინოსნები, რომლებიც, ცხადია, მხოლოდ გვარების ცოდნით არ დაკმაყოფილდებოდნენ. წლების განმავლობაში, რუსეთი მათ სათანადო დასჯას ითხოვდა, ვინც რუსი ოფიცრების დაღუპვასთან პირდაპირ ან ირიბ კავშირშია. ეს, სხვა, ჩვენთვის ალბათ ჯერ კიდევ უცნობ პირობებთან ერთად, ერთ-ერთი იყო, რომელიც საქართველოს ახალ ხელისუფლებას რუსეთის საამებლად უნდა შეესრულებინა. გიორგი თათუხაშვილი მიიჩნევს, რომ „მეოცნებე“ მთავრობამ რუსული პირობების შესრულება დაიწყო და მის ოჯახში დატრიალებული ტრაგედია სწორედ ამის შემადგენელი ნაწილია. ამ ლოგიკას თუ მივყვებით, ჩნდება ერთი კითხვა — თათუხაშვილების ოჯახი „სათანადოდ დასჯილია“. ვინ იქნება შემდეგი, ამ ლოგიკით, საფრთხე ემუქრება ყველა იმ პირს, ვინც სპეცოპერაციაში მონაწილეობდა.

უკანასკნელი ინფორმაციით, საქართველოს პროკურატურამ შალვა თათუხაშვილის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება დაიწყო, თუმცა ოჯახის განცხადებების საფუძველზე, საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით უნდა აღიძრას და ყველა ის გარემოება გადამოწმდეს, რაზეც ჭირისუფალი საუბრობს.

შალვა თათუხაშვილი, მოწმის სახით, დაკითხვაზე, 24 თებერვალს, დათა ახალაიას საქმესთან დაკავშირებით დაიბარეს. 11-საათიანი დაკითხვა, ოჯახის განმარტებით, პროცედურული დარღვევით წარიმართა — არ შეუშვეს მათი ადვოკატი, დაკითხვის დასრულების შემდეგ, ღამის 03:30 საათზე, წამლებით გაჟღენთილი, გაბრუებული შალვა რამდენიმე წუთით გამოიყვანეს პროკურატურიდან და ათქმევინეს იქ მყოფი გულშემატკივრებისთვის, რომ გაათავისუფლეს. რეალურად, ჩასვეს მანქანაში და გაიტაცეს. ოჯახმა მისი ადგილსამყოფლის შესახებ რამდენიმე დღის განმავლობაში არაფერი იცოდა. მთელი ეს პერიოდი, გოგი თათუხაშვილი სოციალურ ქსელში წერდა, რომ მის შვილს აწამებდნენ და წამლების ზემოქმედების ქვეშ აწერინებდნენ სასურველ ჩვენებას. ძალადობით მიცემულ ჩვენებაზე საუბრობს ადვოკატი ირაკლი ზაქარეიშვილი: „გამოძიებამ შალვა თათუხაშვილს, სასტიკი ფსიქიკური და ფიზიკური ძალადობის შედეგად, ხელი მოაწერინა დავით ახალაიას მამხილებელ ცრუ ჩვენებაზე, თითქოს დავით ახალაიამ „ნავთლუღის სპეცოპერაციის“ დროს განახორციელა ერთ-ერთი პიროვნების ლიკვიდაცია. მას შემდეგ, რაც თათუხაშვილების ოჯახმა დახმარებისთვის მომმართა, გამოძიებამ, თავის დანაშაულებრივი ქმედებების კვალის წასაშლელად, ძალადობისა და მუქარის ქვეშ, კამერის წინ დაადასტურებინა შალვა თათუხაშვილს, მის მიერ იძულებით ხელმოწერილი დავით ახალაიას მამხილებელი ცრუ ჩვენება“. ზაქარეიშვილის მტკიცებით, გამოძიება ბოროტად იყენებდა იმ გარემოებას, რომ 2008 წლის აგვისტოში, საბრძოლო მოქმედებების დროს, შალვა თათუხაშვილმა მიიღო უმძიმესი კონტუზია, რის შემდეგაც აღენიშნებოდა პროგრესირებადი ფსიქიკური აშლილობა. შვილის ავადმყოფობის მიზეზებს დეტალურად აღწერს **გოგი თათუხაშვილი**: **„შალვა ფსიქიკურადაა ავად, თავის არეში მრავლობითი ტრავმის გამო — 2001 წელს, თელეთის ტრასაზე მანქანა დაეჯახა, მძღოლმა მომაკვდავი მიატოვა და 7 კილომეტრში ჭაბუკი მოკლა. ექიმებს შალვას სიცოცხლის გადასარჩენად ფეხების ღია მოტეხილობების ოპერაციის შეწყვეტამ მოუწიათ, რადგანაც სასწრაფოდ თავსა და გულზე დასჭირდა ოპერაცია. საქმე აღიძრა, მაგრამ დღემდე გაუხსნელია; გაუხსნელია 2009 წლის საქმეც, როცა შალვას ჯიპმა გადაუარა და მიიღო თავის მძიმე დაზიანება, დაემტვრა ნეკნები“.**

ადვოკატ ზაქარეიშვილის განმარტებით კი, **„გამოძიების მიერ შალვა თათუხაშვილის გატაცებისა და მასზე განხორციელებული არაერთგზის ძალადობის მიზეზით, შალვას გაუმწვავდა ფსიქო-ემოციური სტატუსი. ფსიქიკური აშლილობის ნიშნები იმდენად იყო გამოკვეთილი, რომ 2014**

„ვერსია“ სამძიმარს უცხადებს გოგი თათუხაშვილს შვილის

შალვა თათუხაშვილის

ტრაგიკული გარდაცვალების გამო. უფალმა გაანათლოს მისი და სამშობლოსთვის თავგანწირული ყველა მეომრის სული!

პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე ინციდენტი მოხდა

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ინციდენტი მოხდა. ერთ-ერთი კანონპროექტის განხილვისას, კომიტეტის სხდომათა დარბაზში გიორგი ხასაია შევიდა, რომელმაც მიკროფონში ლექსის კითხვა დაიწყო. მას ლექსის დასრულების შესაძლებლობა არ მისცეს და დარბაზი დაატოვებინეს. ლექსში, უცენზურო სიტყვები იყო გამოყენებული. ვახტანგ ხმალაძემ მისი ვინაობის დადგენა მოითხოვა. ამასთან, გიორგი ხასაია ერთ-ერთ მედიასაშუალებაში მუშაობს, თუმცა აცხადებს, რომ პარლამენტში მოქალაქის სტატუსით იყო შესული.

დავით ნარმანია თანამდებობას არჩევნების თარიღის ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ დატოვებს

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, მმართველი გუნდის თბილისის მერობის კანდიდატი დავით ნარმანია აცხადებს, რომ მინისტრის პოსტზე მის შემცვლელთან დაკავშირებით კონსულტაციები მიმდინარეობს:

„თანამდებობას დავტოვებ მას შემდეგ, რაც არჩევნების თარიღი ოფიციალურად გამოცხადდება და მე, როგორც მერობის კანდიდატი ოფიციალურად ვიქნები დასახელებული — ანუ მას შემდეგ, რაც კანონმდებლობა დამიწესებს შეზღუდვებს და არ ვაპირებ, კანონი დავარღვიო. აქედან გამომდინარე, დავტოვებ დაკავებულ თანამდებობას. ჩემს შემცვლელთან დაკავშირებით მიმდინარეობს კონსულტაციები. ეს პრემიერ-მინისტრის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა და იგი მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას“.

რაც შეეხება მინისტრთა კაბინეტში მოსალოდნელ სხვა საკადრო ცვლილებებს, მისი თქმით, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია არ აქვს.

„ინტერპრესნიუსი“

სოსო შატბერაშვილი ნინო ბურჯანაძესთან გაერთიანებას ადასტურებს

ირუსუდან შელია
557-100-768

ნინო ბურჯანაძის კოალიციაში, ქრისტიან-დემოკრატების შემდეგ, მემარცხენე ალიანსიც ერთიანდება. მართალია, ჯერ მოლაპარაკებები არ დასრულებულა, მაგრამ დიდი ალბათობით, დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი თვითმმართველობის არჩევნებში სწორედ ამ შემადგენლობით ჩაერთვება. ვინ ჩაშალა ერთიანი ოპოზიციური გაერთიანების შექმნის იდეა და რა საერთო ღირებულებები აღმოაჩინა წლების განმავლობაში დაპირისპირებულ ყოფილ სპიკერთან ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ყოფილმა ლიდერმა სოსო შატბერაშვილმა, რომელიც კახა ძაგანიასთან, პაატა ჯიბლაძესა და სხვა თანაპარტიელებთან ერთად, ამჟამად, „მემარცხენე ალიანსს“ წარმოადგენს.

— ოპოზიციურ პარტიებთან მოლაპარაკებები ამ ეტაპზეც მიმდინარეობს, თუმცა ნაკლებად მოსალოდნელია, ნინო ბურჯანაძის კოალიციაში, ქრისტიან-დემოკრატებისა და მემარცხენე ალიანსის გარდა, სხვა პოლიტიკური ძალებიც ვიხილოთ. სავარაუდოდ, ოპოზიციურ ფლანგზე, მინიმუმ, ორი პოლიტიკური გაერთიანება შეიქმნება.

— დიდი ოპოზიციური გაერთიანების შექმნის იდეა ნინო ბურჯანაძის პოლიტიკურ ამბიციებს შეეწირა?

— არა, როცა ქრისტიან-დემოკრატების კოალიციაში გაერთიანებაზე საუბარი დაიწყო, კახა კუკავამ განაცხადა, მათთან საერთო არაფერი მაქვს, ან მე უნდა ვიყო კოალიციაში, ან ქრისტიან-დემოკრატებიო. საკითხის ასე დაყენება კი, არასწორად მიმაჩნია... არჩევანიც შესაბამისად გაკეთდა.

— არადა, ქრისტიან-დემოკრატებს ჯერ კიდევ მაშინ დაუპირისპირდით, როცა 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, გიორგი თარგამაძის პარტია პარლამენტში შევიდა, თქვენ კი არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეთ და მანდატებზე უარი განაცხადეთ. ქდმ-ს ნაციონალური მოძრაობის გოშიებს თქვენ არ უწოდებდით?

— ჩემი აზრით, ამ ეტაპზე, პარტიული უთანხმოება უნდა გადავდოთ და „ქართულ ოცნებას“ ერთობლივი ძალებით დავუპირისპირდეთ. თანაც 2008 წელს, არამხოლოდ ქრისტიან-დემოკრატებს, გაერთიანებულ ოპოზიციასაც დავუპირისპირდით, რადგან გადამწყვეტ ვითარებაში, მათი აზრი ორად გაიყო. კარგად მახსოვს, გიორგი თარგამაძის გარდა, პარლამენტში ჯონდი ბაღათურიაც შევიდა, თუმცა მასთან დღემდე ვთანამშრომლობთ.

— თქვენი ლოგიკით, კოალიციაში ნაციონალური მოძრაობაც უნდა მიგეღოთ?

— ნაციონალურ მოძრაობას ოპოზიციურ პარტიად არ მივიჩნევ, ეს დანაშაულებრივი ორგანიზაციაა, რომელიც უნდა გასამართლდეს. საბედნიეროდ, მათი ლიდერები ციხეში არიან, მთავარი იდეოლოგი კი პროკურატურაში დასაკითხადაა დაბარებული. ნაციონალური მოძრაობა რიგითი პარტია რომ იყოს, არ გავემიჯნებოდით, მაგრამ ეს ის დაჯგუფებაა, რომელიც ციხეში „დასკოჩილ“ ადამიანებს აუპატიურებდა. მათ კისერზე უამრავი ცოდვაა, ამიტომ კოალიციაში პარტიის მიღებაზე საუბარი ზედმეტია.

— ნაციონალური მოძრაობის დანაშაულში ნინო ბურჯანაძის პასუხისმგებლობას ვერ ხედავთ, ხომ ამბობდით, 2008 წლამდე მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი ლიდერი იყო და პასუხისმგებლობა უნდა გაინაწილოსო?

— როცა ნინო ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე იყო, საკმაოდ მწვავედ ვაკრიტიკებდით, მაგრამ მთავარია, ნაციონალურ მოძრაობას გაემიჯნა და სააკაშვილის რეჟიმს ღიად დაუპირისპირდა. ასე მოიქცა ირაკლი ოქრუაშვილიც, რომელიც გენერალური პროკურორი გახლდათ. კობა დავითაშვილიც ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი იყო, კახა კუკავაც მათთან თანამშრომლობდა... ამ სიის ჩამოთვლა დაუსრულებლად შემიძლია და რატომ ვსაუბრობთ მხოლოდ ნინო ბურჯანაძეზე?

— იმიტომ, რომ ამ ლოგიკით, ოპოზიციაში გადასვლა პასუხისმგებლობის სრულად მოხსნას ნიშნავს, მეტიც, ბურჯანაძე ახლა თქვენი პოლიტიკური ლიდერია...

— ვინც ხელისუფლებიდან ოპოზიციაში გადადის, გავრიყოთ და აღარ დაველაპარაკოთ? მსგავსი მიდგომა გაუმართლებლად მიმაჩნია, თანაც ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც ნინო ბურჯანაძე სააკაშვილის თანამებრძოლად ითვლებოდა. ახლა მთავარია, ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციური ფლანგიდანაც გავაქროთ.

— და ეს როგორ წარმოგიდგენიათ, როცა არასაპარლამენტო ოპოზიცია ერთობლივ საარჩევნო პოზიციაზეც კი ვერ შეთანხმდით?

— დიახ, ოპოზიციის დაქსაქსულობა გახდა მიზეზი, რომ ხელისუფლებამ ნაციონალური მოძრაობა მთავარ ოპოზიციურ ძალად აკურთხა — დამნაშავე ყოფილი მაღალჩინოსნების პასუხისგებაში მიცემის ნაცვლად, საპრეზიდენტო არჩევნებში სრული თავისუფლება მიანიჭა. თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, ნაციონალურმა მოძრაობამ პოლიტიკური რეინკარნაციაც მოახერხოს. სწორედ ამიტომ, თვითმმართველობის არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ერთობა ვერ შედგეს, ჩვენ გვეყოლება მერობის ისეთი კანდიდატი, რომელიც კონკურენციას არამხოლოდ ნაციონალურ მოძრაობას, „ქართული ოცნებასაც“ გაუწევს. ნარმანია პოლიტიკურად სუსტი კანდიდატია და ბიძინა ივანიშვილის დახმარების გარეშე, არჩევნებში 2%-საც ვერ მოიპოვებს. სხვათა შორის, ყოფილმა პრემიერმა წარდგენილი კანდიდატების გამო საზოგადოებაში ავტორიტეტი დაკარგა — ქართველ ხალხს პრეზიდენტად გიორგი მარგველაშვილი აარჩევინა, რამდენიმე თვეში კი ღიად დაუპირისპირდა. ამ ფონზე, ნინო ბურჯანაძეს მაღალი რეიტინგი აქვს. ეს საპრეზიდენტო არჩევნებშიც გამოჩნდა და დარწმუნებული ვარ, დროთა განმავლობაში, მის მიმართ საზოგადოების ნდობა უფრო გაიზრდება.

— ნინო ბურჯანაძე საზოგადოების ნდობის გაზრდას ქრისტიან-დემოკრატების პროდასავლური იმიჯის გამოყენებით ხომ არ ცდილობს?

— ქრისტიან-დემოკრატებს პროდასავლური იმიჯი აქვთ?

— თქვენ ფიქრობთ, რომ არა და პრორუსულებად მიიჩნევთ?

— ვერ გეტყვით, არ ვიცი... რატომღაც საქართველოში დამკვიდრდა, ან პრორუსული უნდა იყო, ან პროდასავლური, ჩვენ კი მხოლოდ პროქართული ინტერესების გატარებას ვცდილობთ. თუ ვინმე ფიქრობს, რომ რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრა ღალატია, ეს მისი პრობლემაა და შეურაცხყოფას არ მივაყენებ. სხვათა შორის, 2008 წლის ომამდე კრემლში ორჯერ გახლდით. მახსოვს, მაშინ მეუბნებოდნენ, სააკაშვილი რომ არა, რუსებსა და ქართველებს ურთიერთობები დიდი ხნის წინ დალაგებული გვექნებოდაო...

— სააკაშვილი დიდი ხანია ხელისუფლებაში აღარ არის, რატომ გრძელდება ე.წ. საზღვართან მავთულხლართების გაბმა?

— მართლაც მძიმე რეალობაში ვცხოვრობთ და საქართველო შეიძლება კიდევ დაიშალოს... თუმცა ამ ეტაპზე, ჩვენი კოალიციის პრიორიტეტი ადგილობრივი არჩევნებია. საგარეო პოლიტიკაზე კი 2016 წლის არჩევნებისთვის ვისაუბროთ, როცა ხელისუფლების შეცვლის შანსი გაჩნდება. მერწმუნეთ, მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოში სულ სხვა პოლიტიკური რეალობა გვექნება. საქართველოს ხელისუფლებას 2014 წელს უმძიმესი გამოცდის ჩაბარება მოუწევს — ან ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელს მოვაწერთ, ან ყირიმში განვითარებული მოვლენების თავიდან ასაცილებლად, ბრძოლა მოგვიწევს. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებიც სწორედ ამაზეა დამოკიდებული.

ვერსიანიუსი

თანაინვესტირების ფონდი თბილისში გრანდიოზულ პროექტს, „პანორამა — თბილისი“ განახორციელებს

თანაინვესტირების ფონდი თბილისში განახორციელებს გრანდიოზულ პროექტს პირობითი სახელწოდებით „პანორამა — თბილისი“. როგორც სასტუმრო „თბილისი მარიოტში“, პროექტის პრეზენტაციისას აღინიშნა, პროექტი ოთხ მრავალფუნქციურ კომპლექსს — 1. სოლოლაკის მაღლობი, 2. სოლოლაკის ბაღები, 3. თავისუფლების მოედანი და 4. ერეკლე მეორის მოედანი — აერთიანებს, რომლებიც იფუნქციონირებს როგორც ერთი მთლიანი.

პროექტის ფარგლებში ქალაქის ცენტრალური და ისტორიული უბნები დაუკავშირდება გამწვანებულ შემოგარენს საბაგირო გზებითა და დახრილი ლიფტებით.

„პროექტის უნიკალობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ქალაქის ახალ, ოთხ მსხვილ ტურისტულ და ბიზნესცენტრს შორის დღის ყველაზე დატვირთულ პერიოდშიც კი გადაადგილება შესაძლებელი იქნება ავტოტრანსპორტის გარეშე, სწრაფად და მოხერხებულად, საბაგირო გზებისა და დახრილი ლიფტების საშუალებით. ამასთან, პანორამული შუშის კაბინებით მგზავრობისას დამთვალიერებლებს დედაქალაქის ულამაზესი ისტორიული ხედებით დატკბობის საშუალება მიეცემა. აღნიშნულ პროექტს მსოფლიოში ანალოგი არ აქვს“, — აცხადებენ ფონდში.

ამასთან, მათივე განმარტებით, პროექტი იმითაცაა აღსანიშნავი, რომ მწვანე არქიტექტურის უპრეცედენტო მაგალითს წარმოადგენს.

„მის ფარგლებში დაირგვება 30 000 ახალი ხე, რაც საგრძნობლად გააჯანსაღებს ქალაქის ეკოსისტემას“, — განაცხადა პრეზენტაციაზე თანაინვესტირების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი ბაჩიაშვილმა. მისი თქმით, პროექტის დამატებითი უპირატესობა თანამედროვე ავტოსადგომების ინფრასტრუქტურის განვითარებაა.

„ქალაქის ცენტრსა და შემოგარენში დამატებით მოეწყობა 1,800 ავტომობილზე (თავისუფლების მოედანი — 300, ერეკლე მეორის მოედანი — 500, სოლოლაკის ბაღები — 500, სოლოლაკის მაღლობი — 500) გათვლილი მიწისქვეშა ავტოსადგომები, რაც პროექტის საჭიროებას ბევრად აღემატება და უზრუნველყოფს ქალაქში არსებული პარკირების პრობლემის მოგვარებას“, — განმარტა ბაჩიაშვილმა. ფონდის ინფორმაციით, მრავალფუნქციური კომპლექსების საშუალებით თბილისში შესაძლებელი გახდება მასშტაბური საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება და მასპინძლობა, რაც დედაქალაქს რეგიონში უფრო დიდ მნიშვნელობასა და დატვირთვას შესძენს.

„დახრილი ლიფტები, საბაგირო გზები და სხვა არქიტექტურული თუ ტექნიკური კომპონენტები საკმაოდ ძვირადღირებული გადაწყვეტილებებისგან შედგება, რის გამოყენებითაც ფონდი აპირებს, პროექტი გახდეს თბილისის სავიზიტო ბარათი“, — აღნიშნავენ ფონდში და განმარტავენ, რომ პროექტის წინასწარი ჯამური ბიუჯეტი ნახევარ მილიარდ ამერიკულ დოლარს აჭარბებს.

„ინტერპრესნიუსი“

„ტვ 25“-ის დამფუძნებლის სკანდალური განცხადება და ეკონომიკური დანაშაულის ფაქტები, რომელზეც მიხეილ სააკაშვილს დაკითხავენ

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს ექსპრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს მთავარ პროკურატურაში 27 მარტს, 13.00 საათზე ელოდებიან, სადაც მოწმის სახით დაკითხავენ. ექსპრეზიდენტს მოუწევს, უპასუხოს კითხვებს სანდრო გირგვლიანისა და ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გახმაურებულ საქმეებზე, მუხროვანის ამბოხის, ტელეკომპანია „იმედისა“ და გარდაცვლილი ბიზნესმენის, ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების მითვისების ფაქტებზე, ასევე ნაციონალური მოძრაობის მაღალი თანამდებობის პირების მიერ, ქართუ ბანკის გაკოტრების საქმეებზე. ამ ყველაფრის შესახებ საზოგადოება დეტალურ ინფორმაციას უკვე ფლობს, მაგრამ პროკურატურას სააკაშვილის მიმართ სხვა ისეთ საქმეებზეც დაუგროვდა კითხვები, რაც მაინცდამაინც ცნობილი არ არის; მაგალითად, როგორ გაფლანგა მიხეილ სააკაშვილმა სახელმწიფო დაცვის სამსახურის კუთვნილი ქონება; რა იყო მთავარი მიზეზი, რის გამოც 2004 წელს, ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნები ტელეკომპანია „რუსთავი 2“-სა და „მზეს“ დაეუფლნენ; როგორ გადაეცა სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიას მფლობელობაში არსებულ შპს „ბეზეკს“ სახელმწიფოს კუთვნილი ქონება უკანონოდ და რატომ გადასცეს ექსპრეზიდენტის განკარგულებით, 3 000 000 აშშ დოლარის კუთვნილი ქონება აჭარის ტელეკომპანია „ტვ 25“-ს, რათა საარჩევნო პერიოდში, ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნებს გაეკონტროლებინათ. „ვერსია“ სწორედ ამ უცნობი ფაქტების დეტალებით დაინტერესდა.

სახელმწიფო დაცვის სამსახურის 8 837 461 ლარის გაფლანგვის ფაქტები

ეს სკანდალი მაშინ აგორდა, როცა ეროვნული უშიშროების საბჭოს დღევანდელი მდივანი ირინე იმერლიშვილი ჯერ კიდევ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე იყო, გიგა ბოკერიაც თანამდებობაზე რჩებოდა და მიხეილ სააკაშვილიც ასრულებდა საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას. ირინე იმერლიშვილმა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტის ფარულ ხარჯს გრიფი „საიდუმლო“ მოხსნა და გაარკვია, რომ საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ოჯახის წევრებისა და მეგობრების საჩუქრებსა თუ დასვენება-გართობაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი იხარჯებოდა. იმ პერიოდში ბევრი ისეთი ფაქტი გამოვლინდა, რაც ყოფილი ხელისუფლების მხრიდან ნამდვილად იმსახურებს განმარტებას — ბუნებრივია, არ ვსაუბრობთ სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტების სტუმრობისას დახარჯულ, ანდა იმ აუცილებელ ხარჯებზე, რომელიც ნებისმიერმა ხელისუფალმა ბიუჯეტიდან უნდა გაიღოს, მაგრამ აბსოლუტურად გაუგებარია, მეგობარი ქალბატონების სამკაულებისა თუ სამგზავრო ბილეთებისა და სასტუმროს ხარჯებს რატომ უნდა იხდიდეს საქართველოს ისედაც გაღატაკებული ბიუჯეტი?!

ნაციონალური წილები „რუსთავი 2“-სა და „მზეზე“

2004 წლის ივნისში, ეროსი კიწმარიშვილმა „რუსთავი 2“-ის გაკოტრების პროცედურები წამოიწყო, რასაც უსწრებდა ტელეკომპანიის განცხადება

9 200 000 ლარის ოდენობის ვალის არსებობის შესახებ, საიდანაც 4 600 000 ტელეკომპანიას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დაუგროვდა. მთავრობამ ტელეკომპანიას ვალის რესტრუქტურიზაცია შესთავაზა და „რუსთავი 2“-ის მფლობელობის მრავალჯერადი ცვლილებაც სწორედ ამ დროიდან დაიწყო.

2004 წლის 16 ივნისს, პაატა კარსანიძემ, რომლის ბიზნესქმიანობაზეც ცნობები არ არსებობს, „რუსთავი 2“-ის კუთვნილი 60%-იანი წილი შეიძინა (30-30% ჯარჯი აქიმიძისა და დავით დვალისგან), იმავე დღეს კი ეს წილები, ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშს მიყიდა. თავის მხრივ, ქიბარ ხალვაშის კომპანია „პანორამამ“ „რუსთავი 2“-ის წილები ეროსი კიწმარიშვილისა და ნიკა ტაბატაძისგან შეიძინა.

2005 წლის დეკემბერში, „საქცემენტმა“, ქიბარ ხალვაშის კომპანია „პანორამასგან“ „რუსთავი 2“-ის 22%-იანი წილი 131 994 ლარად შეიძინა. „საქცემენტის“ 100%-ის მფლობელი, პარლამენტარ დავით ბეჟუაშვილისა (ნაციონალური მოძრაობა) და საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის, გელა ბეჟუაშვილის მამა, რობერტ ბეჟუაშვილი იყო. ერთი წლის შემდეგ, „საქცემენტისგან“ ეს წილები ისევ რობერტ ბეჟუაშვილის კომპანია „საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა“ შეიძინა. ჯგუფს „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ ფლობდა, რომელიც მარშალის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია „ჩემექსიმ ინტერნეიშენალის“ მფლობელობაშია. 2006 წელს, ქიბარ ხალვაშმა და ბეჟუაშვილმა ტელეკომპანია „მზის“ წილებიც შეიძინეს. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ ტელეკომპანია „პირველი სტერეოშიც“ ფლობდა წილს. 2006 წლის აგვისტოში, „რუსთავის 2“-ის დირექტორი ნიკა ტაბატაძე, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან გადადგა და „რუსთავი 2“-ს დაუბრუნდა, სამსახურიდან გაათავისუფლეს. ტაბატაძე ტელეკომპანიაში კობა დავარაშვილმა ჩაანაცვლა, რომელიც მედიაში გავრცელებული ცნობების თანახმად, გიორგი არველაძესთან დაახლოებული პირი იყო, არველაძე კი იმ პერიოდში, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა.

მას შემდეგ, რაც ირაკლი ოქრუაშვილმა მთავრობა დატოვა, ქიბარ ხალვაშმა და მისმა კომპანია „პანორამამ“, „რუსთავი 2“-ის საკუთარი წილი, შპს „ჯეო-ტრანსს“ მიჰყიდა. „ჯეო-ტრანსს“ ბიძინა ნიჟარაძე ხელმძღვანელობდა, რომლის ბიზნესსაქმიანობის შესახებაც საზოგადოებისთვის არაფერია ცნობილი. ათ დღეში კი „ჯეო-ტრანსმა“ ეს წილი ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებულ კომპანია Delgado Resources-ში გააფორმა. ამ ოფშორული კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელი ლევან ყარამანიშვილი იყო, რომელიც მიხეილ სააკაშვილთან დაახლოებული ბიზნესმენის, რეზო შარანგიას დის ქმარია.

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებიდან მესამე დღეს, 3 ოქტომბერს ბიზნესმენმა დავით კეზერაშვილმა საჯარო რეესტრში ორი კომპანია — „მედია ჯორჯია“ და „ჯორჯიან მედია კომპანი“ დააფუძნა. 4 ოქტომბერს, „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ დამფუძნებელთა საპარტნიორო კრებამ წილების გაყიდვის გადაწყვეტილება მიიღო და „მედია ჯორჯიამ“, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის აქციათა 40%-იანი წილი, ლევან ყარამანაშვილისგან შეიძინა. იმავე დღეს, ლევან ყარამანაშვილმა ტელეკომპანია „მზის“ 40%-იანი წილი, შპს „ჯორჯიან მედია კომპანის“ მიჰყიდა. ორივე გარიგებით, დავით კეზერაშვილი „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ აქციების 40%-40%-ს ფლობდა, რომელიც ორიოდე დღეში კვლავ ლევან ყარამანაშვილს გადაუფორმა... წლების განმავლობაში, „რუსთავი 2“-ის წილების ყიდვა-გაყიდვის შედეგად, მისი მფლობელები იმდენჯერ შეიცვალნენ, რომ სამართალდამცავებს კანონიერი მესაკუთრეების დადგენა ნამდვილად გაუჭირდებათ. ამ ტიპის ფინანსური ოპერაციების უკან კი ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნები იდგნენ, რის გამოც მიხეილ სააკაშვილს პასუხის გაცემა მოუწევს.

„ბეზეკის“ საქმე

2012 წლის 31 ოქტომბრის განკარგულებით, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბიძას, თემურ ალასანიას უპირატესობა მიანიჭა, რის შედეგადაც ალასანიას კუთვნილმა შპს „ბეზეკმა“ სახელმწიფოს კუთვნილი ქონების უკანონო პრივატიზება განახორციელა. საინფორმაციო სააგენტო bpn.ge-ს ინფორმაციით, ამ ფაქტს „ბეზეკის“ დირექტორი თამაზ ძაგნიძეც ადასტურებს და აზუსტებს, რომ საუბარია 5.5 ჰექტარი მიწის დაბალ ფასად გადაცემაზე. თამაზ ძაგნიძის განცხადებით, წისქვილკომბინატი „ბეზეკი“ 2007 წლიდან ფუნქციონირებს. გაფართოების მიზნით, შპს „ბეზეკმა“, საპრივატიზებო განაცხადი წარადგინა ობიექტის გვერდით არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენის შესახებ, თუმცა მისი დაკანონება მხოლოდ სამი წლის შემდეგ შეძლო.

საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, აღნიშნული მიწის ნაკვეთი შპს „ბეზეკის“ ოთხმა მფლობელმა 1 825 000 ლარად შეიძინა. თამაზ ძაგნიძის თქმით, წისქვილკომბინატი „ბეზეკი“ უკვე ერთი წელია არ მუშაობს, მიზეზი კი იაფფასიანი იმპორტირებული ფქვილია, რომელსაც კომპანია კონკურენციას ვერ უწევს. თამაზ ძაგნიძესთან დაკავშირება „ვერსიამაც“ სცადა, თუმცა უშედეგოდ, შპს „ბეზეკის“ დირექტორმა კომენტარისგან თავი შეიკავა.

„ტვ 25“-ის ნაციონალური კონტროლი

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, 2012 წლის თებერვალში, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი ტელეკომპანია „ტვ 25“-ის დამფუძნებლებს, 3 000 000 აშშ დოლარად ღირებული სახელმწიფოს კუთვნილი ქონება სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გადასცეს, რათა საარჩევნო პერიოდში, ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნებს ტელევიზია გაეკონტროლებინათ. მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა თემურ დოლიძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ ამ და სხვა საქმეებთან დაკავშირებით, გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ამიტომ დეტალებზე არ ისაუბრებენ.

დასასრული მე-6 გვერდზე

ფონდი „ნატახტარი“ მადლობას უხდის ყველას, ვინც პროექტის – „იზრუნე მომავალზე“ წარმატებაში მონაწილეობა მიიღო

ფონდი „ნატახტარის“ მიზანი, მზრუნველობამოკლებული ბავშვების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაა. 2012 წლიდან დღემდე, ფონდმა შეძლო და მხარი დაუჭირა 162 ასეთ მოზარდს. ორი წლის განმავლობაში, 240 000 ლარის ჯამური ბიუჯეტით, ფონდმა მოახერხა თითოეული ბენეფიციარისთვის ფსიქოლოგიური მომსახურება გაეწია. საჭიროებების მიხედვით, ფონდმა პედაგოგების დახმარებით, უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებელი გამოცდებისთვის მოზარდები სასკოლო საგნებში მოამზადა. ფონდი „ნატახტარი“ მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს კოლეჯის დამთავრებასა და პროფესიის დაუფლებაშიც ეხმარებოდა. მეტიც, მოზარდებმა სპეციალიზირებული და ანაზღაურებადი სტაჟირების კურსებიც გაიარეს.

ფონდის უპირატესობა მის ინდივიდუალობაში მდგომარეობს. თითოეულ მოზარდს ინდივიდუალური შესაძლებლობები აქვს, რომლითაც მათთვის ინდივიდუალური პროგრამები შეუმუშავეს. ეს პროგრამა იქამდე გრძელდება, ვიდრე მოზარდი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მზად არ იქნება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი 18 წლის გახდება. ამ ორი წლის განმავლობაში, უკვე 16-მა მოზარდმა დატოვა ფონდი, რაც ნიშნავს, რომ ამ ფონდის ფარგლებში მიღებული პროფესიით თავის რჩენა შეუძლიათ.

ფონდი „ნატახტარი“ მადლობას უხდის ყველას, ვინც პროექტის – „იზრუნე მომავალზე“ წარმატებაში მონაწილეობა მიიღო. მათ შორის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს; ასოციაციას „ჩვენი სახლი — საქართველოსა“ და ფსიქოლოგების გუნდს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს პროექტის განხორციელებასა და წარმატებაში. მათმა ყოველდღიურმა შრომამ ნამდვილად უკეთესობისკენ შეცვალა მოზარდების მომავალი. ასევე, განსაკუთრებული მადლობა აუდიტორულ კომპანია PricewaterHouse-ს, რომელიც ფონდის ფინანსურ გამჭვირვალობას უზრუნველყოფს.

მომხმარებლების მხარდაჭერის გარეშე, ფონდი „ნატახტარის“ პროექტის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა. სწორედ ამიტომ, მადლობა გვინდა გადავუხადოთ მათ ერთგულებისა და მხარდაჭერისათვის. ნოემბერ-თებერვლის განმავლობაში, თითოეული ბოთლი ლიმონათის შეძენა ამ ბავშვების დახმარებას ნიშნავდა. 2013-2014 წლებში, საზოგადოების ჩართულობა თანხის შეგროვების პროცესში, რეკორდული იყო. ჩვენ, ყველამ ერთად, 183 742 ლარი შევაგროვეთ. ეს ნიშნავს, რომ სამი წლის განმავლობაში, ფონდში შეგროვილი თანხა 420 000 ლარს აღემატება, რაც დიდი გამარჯვებაა ფონდის ყველა ბენეფიციარისა და თითოეული ჩვენგანისთვის. აქედან გამომდინარე, ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი მომავლის მიმართ, რადგან ერთად მზრუნველობამოკლებული მოზარდების ცხოვრებას ვაუმჯობესებთ.

„ტვ 25“-ის დამფუძნებლის სკანდალური განცხადება და ეკონომიკური დანაშაულის ფაქტები, რომელზეც მიხეილ სააკაშვილს დაკითხავენ

მე-5 გვერდიდან

„ვერსია“ ტელეკომპანია „ტვ 25“-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსს, მაია მერკვილაძეს დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ საარჩევნო პერიოდში, ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნებისგან არავითარი კონტროლი არ ყოფილა, რადგან საინფორმაციო სამსახური თავისუფალ რეჟიმში მუშაობდა. მისი თქმით, თუ პროკურატურის ვარაუდი მართალია, ეს პირველ რიგში, ტელეკომპანიის საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლებს უნდა ეგრძნოთ. „ტვ 25“-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი და დირექტორი გიორგი სურმანიძე კი 26 მარტს ბრიფინგს გამართავს, სადაც საზოგადოებას დეტალურად უამბობს, რა მოხდა სინამდვილეში. მანამდე კი „ვერსიის“ თხოვნით, **გიორგი სურმანიძე** რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალს ექსკლუზიურად ამხელს:

„რაც შეეხება ქონებას, რომელიც სააკაშვილის განკარგულებით, ტელეკომპანიას სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადმოეცა, 3 000 000 აშშ დოლარის კი არა, 1 500 000 აშშ დოლარის ღირებულების იყო. დიახ, გიდასტურებთ, რომ ეს ქონება, ანუ სხვადასხვა კომერციული ფართი ტელევიზიას, მართლაც, გადმოეცა, მაგრამ იმის გამო კი არა, რომ არჩევნების პერიოდში გავეკონტროლებინეთ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი ტელევიზია ამ ბაზარზე 20 წელია არსებობს და ეს ნამდვილად დავიმსახურეთ. შეგიძლიათ, ნებისმიერი გამოკითხვა შეამოწმოთ, მათ შორის NDI-სა და IRI-ს კვლევები და დარწმუნდებით, როგორ მუშაობდა „ტვ 25“, რომელიც რეგიონის ტელევიზიებს შორის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება. სიტყვის თავისუფლება და ობიექტურობა ყოველთვის დაცული იყო და ამ მხრივ, არავის ჰქონია პრეტენზია ჩვენს მიმართ.

რაც შეეხება კონტროლს, თქვენთან ერთად, მეც მაინტერესებს, 1 ლარად გადმოცემული ქონების ხარჯზე, როგორ უნდა გაეკონტროლებინათ ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნებს ტელევიზია? გიმეორებთ, კონტროლის არავითარი მექანიზმი არ არსებობდა, არავითარი ჩარევა არ ყოფილა და არც მითითება გვქონია, რა სიუჟეტი გასულიყო არხზე და რა არა. იმის გამო, რომ ქონება მივიღეთ, ნაციონალური მოძრაობიდან არანაირი დირექტივები არ მიგვიღია. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, როდესაც ნაციონალურმა მოძრაობამ წააგო, ჩვენთვის სიმბოლურ ფასად გადმოცემული ქონება არავის წაურთმევია. არადა, პროკურატურის ინფორმაციით, ქონება იმიტომ გადმოგვეცა, თითქოს ნაციონალური მოძრაობისთვის უნდა გვემუშავა. თუ ერთ სიუჟეტს მაინც ნახავთ, რომელიც იმ პერიოდში ნაციონალების სასარგებლოდ იყო მომზადებული, ვაღიარებ ჩემს დანაშაულს. პირიქით, იმ პერიოდში „ტვ 25“-ზე, ყოველდღე, რამდენიმე საათის განმავლობაში, ტელეკომპანია „ობიექტივის“ რეტრანსლირებას ვახდენდით. დარწმუნებული ვარ, საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, როგორ მუშაობდა „ობიექტივი“... თუ ჩვენს ტელევიზიაში ნაციონალების პოლიტიკური ინტერესი არსებობდა, რა თქმა უნდა, ისინი „ობიექტივის“ რეტრანსლირების საშუალებას არ მოგვცემდნენ.

ამდენად, პროკურატურის ბრალდებას პოლიტიკური სარჩული აქვს, რადგან ამ ხნის მანძილზე რვაჯერ დამიბარეს დაკითხვაზე, შვიდჯერ არჩილ კბილაშვილის დროს, ერთხელ ოთარ ფარცხალაძის პერიოდში. სხვათა შორის, ოთარ ფარცხალაძემ ჩემზე ზეწოლაც კი განახორციელა. მითხრეს, რომ არც ტელევიზია გვაინტერესებს და არც ქონება, მთავარია, ნაციონალური მოძრაობის ის მაღალჩინოსნები დაასახელოთ, რომლებსაც ინტერესი ჰქონდათ ამ არხზე. მართალია, დაკითხვაზე ფარცხალაძემ დაგვიბარა, მაგრამ ზეწოლას საგამოძიებოს მაშინდელი ხელმძღვანელი გიორგი ბადაშვილი ახორციელებდა, რომელიც ოჯახის წევრების კომპრომეტირებით დამემუქრა“.

საინტერესოა, რა ქმედება მოჰყვება სურმანიძის ამ განცხადებას ანდა რით დაამტკიცებს პროკურატურა, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი ეკონომიკური დანაშაულის უკან მიხეილ სააკაშვილი იდგა. ჯერჯერობით კი, მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ყოფილი პრეზიდენტი 27 მარტს პროკურატურაში მისვლას არ აპირებს.

შს სამინისტრო ახალგაზრდული ცენტრის წევრების დაკავებას ადასტურებს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ორგანიზაცია ახალგაზრდული ცენტრის ორი წევრის დაკავებას ადასტურებს და აცხადებს, რომ აქტივისტები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით არიან დაკავებულები, რაც თვითმმართველი ერთეულის იერ-სახის დამახინჯებას გულისხმობს.

ახალგაზრდული ცენტრის ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ცინცაძის ინფორმაციით, დაკავებულები არიან ახალგაზრდული ცენტრის აქტივისტები — ლევან ალუღიშვილი და გოგა ქუჩულორია. ისინი პატრულმა მანქანით აქციის მიმდებარე ტერიტორიიდან მას შემდეგ გაიყვანა, რაც ნაციონალური მოძრაობის ოფისზე გაკრულ ვანო მერაბიშვილის პლაკატსა და წარწერას — ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — წითელი საღებავი შეასხეს. როგორც ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლები აცხადებენ, დაკავებულებს, სავარაუდოდ, ჯარიმა დაეკისრებათ. ნაციონალური მოძრაობის ოფისთან შეკრებილი ახალგაზრდული ცენტრის წევრები მიმართავენ მიხეილ სააკაშვილს და მოითხოვენ, საქართველოში პროკურატურაში დაკითხვაზე გამოცხადდეს.

„ინტერპრესნიუსი“

ეროსუდან შელია
557-100-768

კონსტანტინე გამსახურდია: „რაც პოლიტიკიდან წავედი და ჩემი ძმაც თანამდებობას არ იკავებს, ჩვენ შორის დაპირისპირება ჩაცხრა!“

ბიძინა ივანიშვილის სკანდალური განცხადებების შემდეგ, ძმებმა მაჭავარიანებმა გარკვეული განმარტებები გააკეთეს... ისე, დედმამიშვილების სხვადასხვა პოლიტიკურ გუნდში ყოფნა კონსტანტინე გამსახურდიასთვის უცხო არაა — ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას, როცა გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთ აქტიურ სახედ მიიჩნეოდა, მისი ძმა გიორგი გამსახურდია საკმაოდ მაღალ თანამდებობას იკავებდა და ოპოზიციური პარტიების ლიდერების მიმართ აგრესიულობითაც გამოირჩეოდა. „მსგავს საკითხებზე კამათი საზოგადოების პრობლემებზე მიანიშნებს“, — ამბობს საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი კონსტანტინე გამსახურდია და „ვერსიასთან“ სხვა აქტუალურ საკითხებზეც საუბრობს.



— ბიძინა ივანიშვილს საზოგადოებამ ნდობის უზარმაზარი კოეფიციენტი მიანიჭა და, შესაბამისად, მის აზრს ჩვეულებრივ მოქალაქეზე მეტი მნიშვნელობა აქვს, ჩემი აზრით კი, გიორგი მარგველაშვილის საქმეა, ვის დაიყენებს გვერდით. ვანო მაჭავარიანის მარგი ქმედების კოეფიციენტი არ ვიცი, თუმცა პირადად ჩემთვის, ის ფაქტი, რომ მიხეილ მაჭავარიანის ძმაა, არაფრისმთქმელია... ერთია ოჯახური ტრადიცია, მეორე — ვინ სად დგას და რა ფასეულობებს იზიარებს. მსგავსი შემთხვევები მსოფლიო ისტორიაში არც პირველია და არც უკანასკნელი. შესაბამისად, ძმების სხვადასხვა პოლიტიკურ პოზიციაზე ყოფნა არავის უნდა უკვირდეს, მათ შორის, არც ბიძინა ივანიშვილს. ზოგადად, სამხრეთულ ქვეყნებში მიაჩნიათ, რომ ოჯახის ყველა წევრს აუცილებლად იდენტური პოზიცია უნდა ჰქონდეს, ამ შემთხვევაში, გამონაკლისი არც საქართველოა, რაც საზოგადოების პრობლემაა! საზოგადოებას შეურაცხყოფას არ ვაყენებ, თუმცა პირადად მსგავს შეხედულებებს არ ვიზიარებ. მთელი საქართველო 1991 წლის მიწურულს ორ ნაწილად გაიყო და ნათესავები, მეგობრები თუ კოლეგები განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო ერთმანეთს გადაეკიდნენ. დღევანდელი გადასახედიდან, ეს უმსგავსო საქციელი იყო — პოლიტიკურ ნიადაგზე ახლობლებს შორის დაპირისპირება დაუშვებელია... მას შემდეგ, რაც პოლიტიკიდან წავედი და ჩემი ძმაც თანამდებობას არ იკავებს, ჩვენ შორის, დაპირისპირებაც ჩაცხრა, ვფიქრობ, დღეს ნორმალური ურთიერთობა მაქვს. ჩანს, ბიძინა ივანიშვილს სურს, შექმნას ისეთი პოლიტიკური სისტემა, სადაც შეუცვლელი არავინ იქნება, გიორგი მარგველაშვილის მისამართით გამოთქმული კრიტიკაც სწორედ ამ ტენდენციაზე მეტყველებს.

— ანუ ბიძინა ივანიშვილის მიზანია, შეუცვლელ ფიგურად დარჩეს?

— როგორც ჩანს, ასეა... ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკური პროცესებიდან ფორმალურად გასულია, მაგრამ საზოგადოებრივი სექტორიდან სწორედ პოლიტიკურ სივრცეში მოქმედებს, სურს, ოპოზიციის ფუნქციაც შეასრულოს და ამ გზით ნაციონალურ მოძრაობას მთავარი ოპოზიციის სტატუსი ჩამოართვას. რაც შეეხება კოალიციას, „ქართული ოცნება“, სააკაშვილის დანაშაულებრივი პოლიტიკის გამო, კუთხეში მიყენებული ადამიანებისგან შედგება. ოპოზიცია, განსაკუთრებით 2011-2012 წლებში, სასოწარკვეთილი იყო და გადაწყვეტილებებსაც სწორედ ასეთ მდგომარეობაში იღებდა. შესაბამისად, კოალიცია ექსტრემალურ ვითარებაში შექმნილი გაერთიანებაა. არ ვარ დარწმუნებული, სხვა ვითარებაში მაშინდელ ოპოზიციას ბიძინა ივანიშვილი ლიდერად ეღიარებინა. ბადრი პატარკაციშვილსაც მსგავსი პრობლემები ჰქონდა — მაშინ გაერთიანებულ ოპოზიციაში ვიყავი და კულუარულ ინფორმაციასაც ვფლობ... 2009 წლის აქციები სრული კატასტროფა აღმოჩნდა, ამიტომ ვამბობ, გაერთიანებული ოპოზიციის შექმნის შემთხვევაშიც კი, ბადრი პატარკაციშვილი ყველა პოლიტიკური ძალის ლიდერი ვერ გახდებოდა.



— პოლიტიკაში შესულ ბიძინა ივანიშვილს ოპოზიციაში, თავის დროზე, ბადრი პატარკაციშვილზე მეტი ავტორიტეტი არ ჰქონდა?

— ბადრისაც სერიოზული ავტორიტეტი ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ოპოზიციაც არ იყო მზად, გაძლიერებულიყო. როცა პარტია „თავისუფლების“ ლიდერი ვიყავი, კონსერვატორებსა და „ფორუმთან“ გაერთიანებაზე ინტენსიურად ვსაუბრობდით, თუმცა ეს გაერთიანება ვერ შეიქმნა. როგორც ჩანს, ჩვენთვის პარტიული კულტურა ჯერ კიდევ უცხოა, ამიტომაც ნამდვილი სახალხო პარტიები საქართველოში ვერ შეიქმნა. კოალიცია კი იმის გამო, რომ ჭრელი, ეკლექტური და ერთმანეთთან დაპირისპირებული იდეოლოგიის ერთობაა, ვფიქრობ, მალე დინამიტივით აფეთქდება. გუბაზ სანიკიძის განცხადება სწორედ იმის ნიშანია, რომ ამ გაერთიანებას პირველი სერიოზული ბზარი უკვე უჩნდება. კოალიციის დაშლა, შესაძლოა, თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ დაიწყოს, რაც ხელისუფლების ვაკუუმს გამოიწვევს და გამორიცხული არაა, ამ ფონზე, ვადამდელი არჩევნების დანიშვნა აუცილებელი გახდეს. პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლა, ძირითადად, ასე ხდება.

— ვიდრე კოალიცია დაიშლება, საკრებულო კოლხური კოშკის რესტავრირების საკითხს განიხილავს. მსგავსი საკითხები წინასაარჩევნოდ რატომ აქტიურდება?

— კოლხური კოშკი ორი გამორჩეული ქართველის, ქართული ლიტერატურის კლასიკოსისა და რომანისტის, კონსტანტინე გამსახურდიასა და საქართველოს დამოუკიდებლობის მესაძირკვლის, ზვიად გამსახურდიას სახელს უკავშირდება. თუ ვინმე რამეს გააკეთებს, მხოლოდ მივესალმები, თუმცა ეს მარტივი პროცესი არ არის და საქმეში კულტურის სამინისტროც უნდა ჩაერთოს, ყველაფერს თავის კანონი და წესები აქვს... ვერ გეტყვით, რატომ ხდება განსაკუთრებით აქტუალური ზვიად გამსახურდიას სახელი ყოველთვის არჩევნების წინ. შესაძლოა, ვიღაცები ცდილობენ, პოლიტიკური კაპიტალი სწორედ საქართველოს პირველი პრეზიდენტის სახელის საფუძველზე დააგროვონ, ერთი რამ კი ნათელია: ამას წინათ, ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსისა და ეგზისტენციალისტის, საფრანგეთის კულტურის მინისტრის ანდრე მალროს მოსაზრება წავიკითხე: „რა არის გოლიზმი საფრანგეთში დე გოლის გარეშე? სრული იდიოტობა“. მეც ვსვამ კითხვას: რა არის ზვიადიზმი ზვიადის გარეშე ან რა არის ქართული პოლიტიკური ცხოვრება ზვიადის გარეშე? — ჩემი აზრით, ისაა, რაც ნოსტალგიას იწვევს არა მხოლოდ ჩემში, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობაშიც. დღემდე ცოცხალია ნოსტალგია ზვიადზე, მერაბსა და იმ ადამიანებზე, რომლებიც იდეალისტები იყვნენ და ქვეყნისთვის სიცოცხლის ბედის სასწორზე შეგდება შეეძლოთ. სამწუხაროდ, დღეს ასეთ პოლიტიკოსებს ვერ ვხედავ.

ვერსიანიუსი

კაზრეთში მუშებმა გაფიცვა შეწყვიტეს

მთავრობის მიერ დანიშნული მედიატორის ჩართვის შედეგად კაზრეთში გაფიცვა შეწყდა და გაფიცულებსა და კომპანია RMG Gold-სა და RGM Copper-ს შორის შეთანხმება შედგა. ამ თემაზე „პირველ პრესკლუბში“ პრესკონფერენცია გამართეს მთავრობის მიერ დანიშნულმა მედიატორმა ირაკლი ყანდაშვილმა, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ ირაკლი პეტრიაშვილმა, მთავრობის ადმინისტრაციის მრჩეველმა სოციალურ საკითხებში ბექა ნაცვლიშვილმა და კომპანიის კომერციულმა დირექტორმა სოსო ცაბაძემ. მათი თქმით, მხარეებმა მედიციის პროცესის შედეგად შეთანხმებას ყველა ძირითად საკითხზე მიაღწიეს.

კერძოდ, RMG Gold-სა და RGM Copper-ის ადმინისტრაცია სამსახურში აღადგენს 2014 წლის იანვარში გათავისუფლებულ 80 თანამშრომელს, დანარჩენ მუშებს კომპანია ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად დააბრუნებს. მათ გაფიცვის დასრულებიდან ორი კვირის განმავლობაში, კომპენსაციის სახით, ორი თვის ხელფასს გადასცემს, ხოლო თუ კომპანია მათ დაბრუნებას ვერ შეძლებს, დამატებით მესამე თვის კომპენსაციას გადასცემს, შედგება სპეციალური სარეზერვო სია და წარმოებაში ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში კომპანია სამუშაო ადგილს უპირველესად მათ შესთავაზებს. 2014 წლის აპრილიდან კომპანიის ყველაზე დაბალანაზღაურებადი თანამშრომლების ხელფასი არანაკლებ 15%-ით გაიზრდება, 1 ნოემბრიდან კი ადმინისტრაცია დასაქმებულებთან მოლაპარაკებებს დაიწყებს 2015 წლისთვის ხელფასების მომატების შესახებ.

RMG Gold და RGM Copper ვალდებულებას იღებს სამართლიანი ანაზღაურების პრინციპების განხორციელებაზე და საწარმოებში ერთსა და იმავე პოზიციებზე დასაქმებულთა ანაზღაურების გათანაბრებაზე. პირველ ეტაპზე, თითოეულ კომპანიაში ხელფასებს შორის განსხვავების აღმოფხვრა 1 აპრილამდე მოხდება, ხოლო შემდეგ ეტაპზე 1 ოქტომბრიდან კომპანია ორივე საწარმოში ხელფასებს შორის განსხვავებას აღმოფხვრის. შეთანხმება მიღწეული იქნა კომპანიისა და დასაქმებულების პარიტეტული მონაწილეობით მუდმივმოქმედი კომისიის შექმნაზეც, რომელიც საჩივრებს, შრომით დავებს, შრომის გარემოსა და სხვა საკითხებს თანამშრომლების უშუალო მონაწილეობით განიხილავს. ამასთან, მორიგება შრომის პირობებთან დაკავშირებული საგაფიცვო მოთხოვნების შესრულებაზეც მოხერხდა და დასაქმებულებისთვის მისაღებია კომპანიის მიერ შეთავაზებული ახალი სადაზღვევო პირობები, შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენური პირობების გასაუმჯობესებლად გადადგმული ნაბიჯები. გაფიცვის შეწყვეტისა და მედიაციის დასრულების შემდგომ ერთ კვირაში კომპანიის გენერალური დირექტორი კოლექტიური მოლაპარაკების კომისიების შექმნის შესახებ განკარგულებას გასცემს. გაფიცვა, ოფიციალურად, 2014 წლის 25 მარტს, 08:00 საათზე შეწყდება.

„პირველი“

ᲛᲔᲗᲘᲣ ᲑᲠᲐᲘᲖᲐ: „ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ MAP-Ს ᲐᲠᲪ ᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲡ“

პროკურატურაში მიხეილ სააკაშვილის დაბარების გამო ამბობენ, რომ შესაძლოა, საქართველო MAP-ს არც იმსახურებს, — ამის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ყოფილმა თანაშემწემ მეთიუ ბრაიზამ საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს ბრიუსელში, მარშალის ფონდის ყოველწლიურ ფორუმზე ყოფნისას განუცხადა.

„კომენტარს გავაკეთებ პოლიტიკური გამოცდილებიდან გამომდინარე და იმაზე დაყრდნობით, რაც აქ მესმის და რაზეც მსჯელობა მიდის. ფორუმის ვაშინგტონიდან ჩამოსულ მონაწილეებს უკიდურესად კრიტიკული და მძაფრი რეაქცია ჰქონდათ, სააკაშვილსაც შეხვდნენ გავრცელებულ ახალ ამბავზე. ნეგატიური შეფასება იყო და თანაც საკმაოდ. იზრდება და უკვე მოახლოვდა პროცესი, რომ საქართველომ სექტემბრის სამიტზე MAP მიიღოს, მიხეილ სააკაშვილის პროკურატურაში დაბარების გამო კი ამბობენ, რომ შესაძლოა, საქართველო MAP-ს არც იმსახურებს იმიტომ, რომ იქ პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულება და შერჩევითი სამართალია. ასეთია იმ ადამიანების განწყობა, რომლებიც ფორუმს ესწრებიან და გადაწყვეტილების მიმღებნი არიან. ვფიქრობ, ამან გადაწყვეტილებაზე ნეგატიური გავლენა უკვე იქონია“.

„ინტერპრესნიუსი“

ᲜᲐᲢᲝ-Ს ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲐᲚᲘ: „ᲜᲐᲢᲝ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲐᲓ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲦᲘᲥᲕᲐᲛᲡ!“

„გაყინული კონფლიქტის“ ზონებს რუსეთი იმისთვის ქმნის, რომ ევროპის აღმოსავლეთით ესა თუ ის ქვეყანა დასავლეთს არ დაუახლოვდეს, — „უკრაინსკაია პრავდას“ ინფორმაციით, ამის შესახებ ევროპაში ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა, გენერალმა ფილიპ ბრიდლავმა ბრიუსელში განაცხადა.

„ვფიქრობთ, რასაც ვხედავთ – ესაა მექანიზმი, რომლის თანახმადაც, ნატო-სა და ევროკავშირს რომ არავინ მიუახლოვდეს, „გაყინული კონფლიქტები“ იქმნება“, – აღნიშნა სარდალმა და განმარტა, რომ რუსეთი ასეთ მექანიზმს იყენებს მაშინ, როდესაც იწყებს შეშფოთებას იმის გამო, რომ რომელიღაც ქვეყანა დასავლეთისკენ მიიწევს.

„ამ ვითარებიდან გამოსავალია შეჭრა, „გაყინული კონფლიქტი“, რის შემდეგაც ნატო-სკენ სწრაფვას აღარავინ მოისურვებს, რადგან ეს რუსეთთან კონფლიქტს ნიშნავს“, – განაცხადა გენერალმა და დასძინა, რომ ბოლო ქმედებების გამო ალიანსი რუსეთს პარტნიორად აღარ აღიქვამს, — **„უკვე ვიყავით იმ ეტაპზე, როდესაც რუსეთი ჩვენი პარტნიორი უნდა გამხდარიყო. ახლა კი, ცხადია, რუსეთი იქცევა როგორც მოწინააღმდეგე, ვიდრე პარტნიორი“.**

„ინტერპრესნიუსი“

„ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ, ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛ, ᲝᲗᲮᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐ“

ᲪᲔᲡᲙᲝ-Ს ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲮᲐᲠᲐᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲥᲛᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲤᲘᲙᲝᲡᲔᲑᲡ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲡ ᲐᲠ ᲣᲠᲩᲔᲕᲡ

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ
557-100-768

თვითმმართველობის ადგილობრივი არჩევნებისთვის დიდი ოპოზიციური გაერთიანება ვერ შედგა — პოლიტიკური პარტიები, სავარაუდოდ, რამდენიმე დაჯგუფებას შექმნიან, თუმცა ვინ, სად და ვისთან ერთად ჩაერთვება საარჩევნო მარათონში, ჯერ კიდევ გასარკვევია. ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი „ვერსიას“ წინასაარჩევნო პროცესებსა და საარჩევნო კოდექსში შესულ ცვლილებებზე ესაუბრა.

— მალე პარტიას — „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის“ შევქმნი, თუმცა, ჯერჯერობით, არ ვიცი, არჩევნებში ჩართვას მოვასწრებთ თუ ვერა. ყველაზე ცუდ ვარიანტში, მოახლებულ თვითმმართველობის არჩევნებში სხვა პოლიტიკურ ძალებს გამოცდილებით დავეხმარებით.

— პოლიტიკური გათვლა ისევ ედპ-სა და პაატა დავითაიას პარტიაზე გაქვთ?

— ედპ-სა და „ვეროპელ დემოკრატებთან“ ბევრი საერთო გვაქვს, როგორც იდეოლოგიური, ისე პიროვნული თვალსაზრისით, თუმცა თანამშრომლობას მხოლოდ ამ ორ პოლიტიკურ ძალასთან არ ვგეგმავ. ოპოზიციურ ფლანგზე მიმდინარე ინტენსიური მოლაპარაკებები პოლიტიკური ძალების დალექვის პროცესზე მიანიშნებს, შესაბამისად, ადგილობრივ არჩევნებში, მინიმუმ, ოთხი პოლიტიკური ცენტრი გამოიკვეთება. პარტიები, რომლებსაც საერთო ღირებულებები აქვთ, თუნდაც საგარეო თვალსაზრისით, არ მგონია, გაურკვეველი პოლიტიკური ორიენტაციის პარტიებთან დაჯგუფდნენ.

— თუკი ასეა, რა ლოგიკით გაერთიანდნენ ქრისტიან-დემოკრატები ნინო ბურჯანაძესთან?

— მათ შორის არსებული მინიმალური საერთო პოზიციები ჩემთვისაც რთული წარმოსადგენია, თუმცა ყველა პარტია საკუთარ ბედს თავად წყვეტს. თუ ვინმე ბიძინა ივანიშვილის გზით სვლას ცდილობს, შევახსენებ: იგი ხელისუფლებაში უზარმაზარი ფინანსური რესურსის დახმარებით მოვიდა, ნინო ბურჯანაძეს კი არ მგონია, ყოფილ პრემიერთან მიახლოებული რესურსი ჰქონდეს.

— იმაზეც საუბრობენ, რომ „ქართული ოცნება“ ნაციონალურ მოძრაობას გაურიგდა და არჩევნებში პოზიციებსაც სწორედ ეს ორი პოლიტიკური ძალა გადაინაწილებს...

— მსგავსი საუბარი გულუბრყვილოდ მეჩვენება, რადგან ადგილობრივი არჩევნები, საპრეზიდენტოსგან განსხვავებით, მასშტაბურია და ყველა მხოლოდ ერთი კანდიდატის ირგვლივ არაა დარაზმული. ჩემი აზრით, თვითმმართველობის არჩევნებზე პოლიტიკურ პარტიებს შორის რეალური ბრძოლა არ გაიმართება, რადგან ძალაუფლების კუთხით, ამ არჩევნებს მინიმალური მნიშვნელობა აქვს — პრეზიდენტის მსგავსად, თვითმმართველობის კანონიერი უფლებები შეზღუდულია. მართალია, ამ მიმართულებით რეფორმა ჩატარდა, მაგრამ მხოლოდ ფასადური.

— მერი და გამგებელი პირდაპირი არჩევის წესით რომ აირჩევა, არაფერს ცვლის?

— ეს მისასალმებელია, თუმცა მერისა და გამგებლის უფლებები ანულირებულია. კანონმდებლობაში ჩაიწერა, რომ საკრებულოს 2/3-ს მათი უპირობოდ გადაყენების უფლება აქვს ანუ, თუ „ქართულ ოცნებას“ მერად არასასურველი კანდიდატი გაეპარა, მისი გადაყენების შესაძლებლობა მეორე დღესვე ეძლევა. ასე რომ, 15 ივნისამდე პოლიტიკური ტემპერატურა საკმაოდ დაბალი იქნება, თუმცა მეორე მხრივ, ადგილობრივ არჩევნებში პარტიების რეიტინგი დაფიქსირდება. პარტიებს შორის რეალური ბრძოლა 2016 წელს, საპარლამენტო არჩევნებისთვის გაიმართება, სადაც ყველა პოლიტიკური ძალა არსებული რესურსების მაქსიმუმ დახარჯავს.

— სალომე ზურაბიშვილი და ნინო ბურჯანაძე ძალებს საპარლამენტო არჩევნებისთვის იკრებენ, რომლებმაც ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს?

— რა თქმა უნდა, 2016 წელს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ორთაბრძოლა გაიმართება, თუმცა ვინ რა შედეგს მიიღებს, ამის პროგნოზი, ამ ეტაპზე, ნაადრევია.

— ბატონო ზურაბ, ოპოზიცია გაუარესებულ საარჩევნო გარემოზე რატომ საუბრობს?

— საარჩევნო კოდექსში ერთადერთი პოზიტივი მერისა და გამგებლების პირდაპირი არჩევის წესია, სხვა მხრივ კი მხოლოდ ნეგატიური ცვლილებები განხორციელდა. ფაქტია, „ქართულმა ოცნებამ“ წინა ხელისუფლების ტრადიცია გააგრძელა — მაქსიმალურად კომფორტულ გარემოს იქმნის, ოპოზიციას კი მოქმედების სივრცეს უზღუდავს — მაგალითად, ერთსა და იმავე პირს მერისა და საკრებულოს არჩევნებში ერთდროულად მონაწილეობის უფლება აეკრძალა. საერთოდ, ოპოზიციის კანდიდატს ყოველთვის გამარჯვების ნაკლები შანსი აქვს, რადგან სახელისუფლო კანდიდატს ზურგს ადმინისტრაციული რესურსიც უმაგრებს. ოპოზიციას ისეთი კანდიდატის მოძებნა გაუჭირდება, რომელიც მერის არჩევნებში წაგების შემთხვევაში, სიიდან საერთოდ ამოვარდნასა და თამაშგარეთ დარჩენაზე დათანხმდება.

— ანუ ოპოზიციისთვის მთავარი თანამდებობაა და არ აქვს მნიშვნელობა, რომელ არჩევნებში გაიმარჯვებს?

— თუ ოპოზიციას ორი ძლიერი კანდიდატი არ ჰყავს, რა ქნას?! ნებისმიერ შემთხვევაში, გამგებლის არჩევნებში ხომ პარტიის საუკეთესო სახე უნდა ჩართო?! საარჩევნო კოდექსში ერთადერთი პოზიტივი 50%-იანი ბარიერის დადგენა იყო, თუმცა სხვა ცვლილებებმა ეს ფაქტიც გააუფერულა. კარგად მახსოვს, როცა „ქართული ოცნების“ წევრები ოპოზიციაში იყვნენ, საარჩევნო კოდექსს უზნეოს უწოდებდნენ და საარჩევნო რეფორმის ჩატარებასაც აანონსებდნენ, თუმცა ეს რატომღაც დაავიწყდათ; მეტიც — აღმოჩნდა, რომ ძველი კოდექსი, მასში განხორციელებული რამდენიმე უმნიშვნელო ცვლილებით, დემოკრატიული სამყაროსთვის შესაშური გახდა.

— პარტიები, 3%-იანი ბარიერის გადალახვის შემთხვევაში, ბიუჯეტიდან თანხას მიიღებენ, საარჩევნო კოდექსი არც პარტიების დაფინანსების კუთხით გაუმჯობესებულა?

— რამდენჯერაც პარტიების დაფინანსების საკითხის განხილვა დაიწყო, „ქართულმა ოცნებამ“ ყველა გადაწყვეტილება სათავისოდ მიიღო; მაგალითად, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ითქვა, რომ პოლიტიკური ძალები დაფინანსებას ფრაქციების რაოდენობის მიხედვით მიიღებდნენ, არადა, ყველაზე მეტი ფრაქცია კოალიციას ჰყავდა. მათ ბიუჯეტიდან სამას-სამასი ლარი აიღეს, არასაპარლამენტო ოპოზიციას კი კაპიკები გადაუყარეს. მსგავსი მიდგომით მმართველი გუნდი შორს ვერ წავა. არ ვიცი, ეს სიბრიყვის ბრალია თუ „ოცნებას“ ბრიყვები სხვები ჰგონია...

— საარჩევნო კოდექსში კიდევ ერთი ცვლილება სიებს დაუკავშირდა — თვითმმართველობის არჩევნები გაციფრულებული ფოტოებით ჩატარდება. საარჩევნო გარემოს არც ეს ინიციატივა აუმჯობესებს?

— თუ მმართველმა გუნდმა საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად ერთი ნაბიჯი წინ გადადგა, ხუთით უკან დაიხია. ფოტოების გაციფრულებას კი ბიომეტრულ სიებთან საერთო არაფერი აქვს. არ დავაკონკრეტებ, თუმცა ეს ერთი ადამიანის ფანტაზიის ნაყოფია და კარგი იქნება, თუ მას საარჩევნო კანონმდებლობას ჩამოაშორებენ. წარმოიდგინეთ, საარჩევნო კოდექსში მითითებულია, რომ, თუ კომისიის წევრმა ათი წლის წინ გადაღებულ ფოტოში, რომელიც შავ-თეთრ ფორმატში მიეწოდება, პიროვნება ვერ ამოიცნო, პატრული უნდა გამოიძახოს, პოლიციამ კი კონკრეტული ადამიანი განყოფილებაში წაიყვანოს. როგორც ჩანს, ბოლოს მმართველ გუნდშიც მიხვდნენ, რომ წარმოუდგენელი სიბრიყვე ჩაიდინეს, ამიტომ შეცვლას გეგმავენ.

ნაციონალურ მოძრაობას საარჩევნო კოდექსის საკუთარ თავზე მორგება დიდი ხნის შემდეგ დასჭირდა, „ქართულმა ოცნებამ“ კი ეს პროცესი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო, რაც ნიშნავს, რომ სუსტები არიან. მსგავსი უნიათო და უინიციატივო ხელისუფლება ჯერ არ მინახავს. მგონი, ასეთი შევარდნაძის ხელისუფლებაც კი არ ყოფილა.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

ᲙᲘᲜᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲜ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲡᲐᲛᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ

ევრაზიული ინსტიტუტის წევრების ინიციატივით, კინოს სახლში ნატო-ს საწინააღმდეგო აქცია გაიმართა, სადაც იუგოსლავიის დაბომბვისა და შემდგომი პერიოდის ამსახველი 30-წუთიანი დოკუმენტური ფილმის ჩვენება მოეწყო. აქცია კინოს სახლთან შეკრებილმა საზოგადოებამ გააპროტესტა. ვითარება კი მას შემდეგ გამწვავდა, რაც ევრაზიული ინსტიტუტის წევრები კინოს სახლიდან გამოვიდნენ, რასაც ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციას სპეციალური ჯუბირები ჰქონდა გაკეთებული, რათა აქციის მონაწილეები ერთმანეთთან ახლოს არ ყოფილიყვნენ, მათ ერთმანეთთან მიახლოება და ფიზიკური დაპირისპირება მაინც მოახერხეს. შედეგად სამართალდამცველებმა აქციის სამი მონაწილე დააკავეს. როგორც შსს-ს პრესსამსახურში განაცხადეს, სამივე პირი დაკავებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის დარღვევისათვის, რაც წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს.

„ინტერპრესნიუსი“

„თვითდასაქმებულ მძღოლებს ბოლო ლუკმას გვართმევენ, მოვითხოვთ კონკურსის გადავადებას“

რას ითხოვენ რუსთავის სამარშრუტო ტაქსის გაფიცული მძღოლები

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

მთავრობის ადმინისტრაციასთან რუსთავის სამარშრუტო ტაქსების მძღოლების მორიგი საპროტესტო აქცია გაიმართა. მონაწილეები გამოცხადებული ტენდერის 3 წლით გადავადებას მოითხოვენ. როგორც მათი ადვოკატი რეზო რიჟამაძე აცხადებს, „ტენდერს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე და რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად ძიძიგური ლობირებენ“. მისივე თქმით, ტენდერში განცხადება აქვს შეტანილი კომპანია „ინტერ ტრანსს“, რომელსაც საბანკო გარანტიას „პროგრეს ბანკი“ უწევს.

„ეს კრიმინალური ტენდერია, რომლითაც დაინტერესებულნი არიან ძიძიგური, კალაძე და რუსთავის მერია. ისინი ცდილობენ, გადაინაწილონ ეს ბიზნესი და ტენდერის ჩატარების შემდეგ, მისი სრული მონოპოლიზება მოახდინონ. გვაქვს ინფორმაცია, რომ 31 მარტიდან ეს ხალხი უმუშევარი დარჩება. მათ რუსთავის მერიამ ახალი მიკროავტობუსები აყიდვინა პირობით, რომ, თუ ახალი მანქანები ეყოლებოდათ, უსამსახუროდ არ დარჩებოდნენ. ამ ადამიანებმა მიკროავტობუსები კრედიტებით, სესხით იყიდეს, თუმცა, საბოლოოდ, რუსთავის მერიამ მოატყუა”, — აცხადებს ადვოკატი და დასძენს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით, მთავარ პროკურატურაში განცხადებას შეიტანს.

რუსთავის მერის მოადგილე **დავით სხირტლაძე** ადვოკატ რევაზ რიჟამაძის განცხადებას „აბსურდულს“ უწოდებს და აცხადებს, რომ „ადვოკატი ცრუობს“: **„რასაც რევაზ რიჟამაძე ამბობს, სისულელეა. თავის დროზე, ამ კონკურსმა ერთი წლით უკვე გადაიწია, ამჟამად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობაზე სამმა კომპანიამ გააკეთა განაცხადი და, შესაბამისად, აქ რაიმე გარიგებაზე საუბარი, ყოველგვარ ლოგიკას სცილდება. ჩვენი ინფორმაციით, ერთ-ერთ კომპანიას აიძულეს და უკვე შემოტანილ განცხადებაზე ათქმევინეს უარი მაშინ, როდესაც კომისიის სხდომაზე საკონკურსო პაკეტების გახსნის პროცესი მიმდინარეობდა. არადა, კომპანიას იმ ლოტში გამარჯვების ძალიან დიდი შესაძლებლობა ჰქონდა. მას კი კონკურსში მონაწილეობაზე უარი ათქმევინეს ისევ იმ ლიდერებმა და აქციის იმ მონაწილეებმა, რომლებიც ხმამაღალ განცხადებებს აკეთებენ“.**

ამ კითხვა-პასუხის ფონზე, უკვე ერთი თვეა, რუსთავის რვაასამდე მიკროავტობუსის მძღოლი გაფიცულია, ოცამდე მძღოლი კი ქალაქის მერიის შენობასთან შიმშილობს. მას შემდეგ, რაც ადგილობრივი ხელისუფლებისგან პასუხი ვერ მიიღეს, ნაწილმა მთავრობის კანცელარიასთან გადმოინაცვლა. „ვერსია“ მოშიმშილე მძღოლებს რუსთავშიც ესაუბრა. მათი თქმით, დაახლოებით ერთი წლის წინ, ავტოპარკები განაახლეს და ბანკის ვალით ახალი მიკროავტობუსები იმ იმედით შეიძინეს, რომ ტენდერი მათ არ შეეხებოდა.

ვასილ სულაშვილი: „ჩაატარეს კონკურსი, რომელიც რეალურად, ერთ მონოპოლისტურ კომპანიაზეა გათვლილი. რუსთავშიც ისეთივე ყვითელი მიკროავტობუსები უნდა შემოიყვანონ, როგორიც თბილისშია. ამ მანქანების გარდა, სხვა შემოსავალი არ გვაქვს. არსებობის უფლებას გვართმევენ და ამდენ ადამიანს უმუშევარს ტოვებენ. ყველას ბანკის ვალი გვაქვს. რამდენიმე წლით კონკურსის გადავადებას მოვითხოვთ, რომ ამ ვალის დაფარვა შევძლოთ. ტენდერში ისეთი პუნქტებია ჩადებული, ჩვენ ვერც მივიღებდით მონაწილეობას. მხოლოდ იმ კომპანიაზე იყო გათვლილი. ე.წ. ყვითელი სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს კაპიკები აქვთ, ხანდახან ზეთის გამოცვლასაც ვერ ახერხებენ“.

ლევან ჩხიტუნიძე: „ტენდერის ჩატარება, 15 წლის განმავლობაში, სამარშრუტო ხაზებზე ერთი გამარჯვებული კომპანიის ბატონობას ნიშნავს. გადაწყვეტილების მიღებისას მერიაში არც ერთ მძღოლს არ უშვებენ, საშვსაც კი არ გასცემენ. 80%-ს ბანკებიდან სესხი გამოტანილი და მანქანები ნაყიდი გვაქვს, ნაწილობრივ განვაახლეთ კიდეც, ტენდერის შემდეგ კი, უმუშევრები ვრჩებით. გვეუბნებიან, ყვითელ „მარშუტკებზე“ დაგასაქმებთო, ჩვენთვის ეს გამოსავალი არ არის. საქმეში ვერკვევით, დავთვალეთ და გამოდის, მათთვის უნდა ვიმუშაოთ. ყველა მეწარმე ვართ და აქამდეც გადასახადებს პატიოსნად ვიხდიდით, ოჯახებიც კმაყოფილი გვყავდა. ახალი პირობები ჩვენთვის დამანგრეველი იქნება – ქალაქში, რუსთავი-თბილისს შორის ტრანსპორტიც გაზზე მუშაობს, ახალი მანქანები დიზელზეა და, შესაბამისად, ხარჯი მეტია. ვინც უნდა იყოს გამარჯვებული, პირველ რიგში, ხომ საკუთარ სარგებელზე ფიქრობს“.

დავით კევლიშვილი: „მერიის ხალხი ერთხელ არ ჩამოვა და არ დაგველაპარაკება, ტელევიზორში ჩანან მარტო, გაუგებარია, ვის ელაპარაკებიან, როცა მთავარი ადრესატები ჩვენ ვართ. მაჟორიტარი ზვიად ძიძიგური აქ საერთოდ არ მოსულა, ჩვენი ინტერესები უნდა დაიცვას თუ ვიღაც-ვიღაცების? მის ადგილობრივ ოფისთან მივედით, აქცია გავმართეთ და შედეგი კი არა, ბიჭებო, რა გიჭირთო, ესეც კი არ უკითხავთ. იყვნენ მთავრობის წარმომადგენლები, რის შემდეგაც ნარმანიასა და კალაძესთან ვიყავით და შეგვპირდნენ, ერთი წლით მაინც გადაგიწევთ ვადას და გამუშავებთო, არ შეასრულეს. ალბათ, უკვე აპრილის დასაწყისში ყვითელ მანქანებს შემოიყვანენ. არჩევნებზე არასოდეს ვყოფილვარ, ბოლოს იმიტომ მივედი, ივანიშვილი რომ გამოჩნდა და იმედი მოგვეცა, მაგრამ საშველი არ დაგვადგა. კახა კუკავას თუ დავუჯერებთ, ამ 250 მანქანის ბიზნესი ივანიშვილის ძმისშვილის სახელზეა გაფორმებული. მერე რუსთავის მერმა ჯიქიამ კუკავას შეუთვალა, აქ ჩამობრძანდი და გავარკვიოთ, ასე არ არის, როგორც ლაპარაკობ. ჩვენამდე ზუსტი ინფორმაცია მაინც არ აღწევს“.

გოდერძი მოდებაძე: „50 წელია ტრანსპორტში ვარ, აქედან 25 წელი ტაქსებში ვიმუშავე, აქ დავბერდი და ეს ბიჭები რომ შიმშილობენ, გული სახლში არ მიჩერდება, ამათთან მოვდივარ. ბოლოს მანქანა შვილს ჩავაბარე, იმუშავე თუ შეგიძლია-მეთქი. ჩემმა შვილმა ბანკიდან 20 ათასი დოლარი გამოიტანა ვალი, დიდი „სპრინტერი“ ვიყიდეთ, ერთი-ორი წელი მაინც გვაცალონ, რომ ეს სესხი როგორმე დავფაროთ. ამასობაში, მოვრჩებით და მერე ეს ხაზები ვისაც მოუნდება, იმის მისცენ. ჩვენთვის მთავარია, სახლიდან არ გამოგვყარონ. ორი სტუდენტი შვილიშვილი მყავს, ხომ მინდა, ხუთ-ხუთი ლარი მივცე, გზაზე იარონ, მაინც ბაბუა ვარ. ყველა ოჯახისთვის წვალობს, აქ რომ დაგვყარეს და არაფერს გვეკითხებიან, ესაა ამათი დემოკრატია?

ბესიკ კომლაძე: „შიდაკომფორტი უნდა გაგვეზარდა, ამას ვაღიარებთ. ჩვენთვის ნათქვამიც ჰქონდათ, მანქანები ცოტა შეცვალეთ, კომფორტი გაზარდეთო. შევცვალეთ, ამხელა ვალი ავიღეთ და ახლა ჩვენს მანქანებს ტენდერზე ნული ქულა აქვთ. ბანკს როგორ დავემალოთ, ის ხომ არ ითვალისწინებს, უმუშევარი ხარ თუ დასაქმებული, ამიტომ მთავრობა ოჯახს ცის ქვეშ მიტოვებს, პასუხსაც არ გვცემენ. როცა ასე გამწარებულებს გვტოვებენ, ყველაზე ცუდს ჩაგვადენინებენ. ოჯახიდან რომ გამოგაგდებენ, ჩემთვის თუ ქვეყნისთვის სასიკეთო რა უნდა გავაკეთო, თქვენ გამეცით პასუხი. ხალხიც ხვდება, რომ ყვითელი „მარშუტკა“ 1.30 ლარად ვერ ივლის, ისინიც გვერდში დაგვიდგებიან და ეს ამბავი მშვიდობიანად არ დასრულდება“.

წინა საპროტესტო აქციაზე, მთავრობის კანცელარიაში მძღოლების მოთხოვნები ჩაინიშნეს და შეპირდნენ, რომ ხელმძღვანელობას ამის შესახებ აცნობებდნენ. გაფიცულები და მათი ოჯახის წევრები დღემდე პასუხს ელოდებიან. ათასობით რუსთაველის ულუკმაპუროდ დატოვება კარგ შედეგს არ მოიტანს, ამიტომ მძღოლების ზომიერი მოთხოვნები მთავრობის მხრიდან იგნორირებული არ უნდა იყოს.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში:

„საქართველოს მთავრობა არ არის ჩართული უკანონო ნარკოტიკული საშუალებების გასაღების შედეგად მიღებული სახსრების ლეგალიზებაში!“

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა 2014 წლის საერთაშორისო ნარკოტიკების კონტროლის სტრატეგიის ანგარიში (INCSR) გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველო სხვა ქვეყნებში წარმოებული ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყანაა. ამასთან, ანგარიშში ნათქვამია, რომ რუსეთის მიერ „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიები საქართველოს სამართალდამცავების კონტროლსმიღმა რჩება.

„საქართველოს ასევე აქვს შიდანარკოტიკების პრობლემა. ადგილობრივად წარმოებული ამფეტამინის ტიპის სტიმულატორები (ATS), რომელიც „ჯეფისა“ და „ვინტის“ სახელითაა ცნობილი, ასევე ადგილობრივად წარმოებული დეზომორფინის ოპიოდი, რომელიც „კრაკადილის“ სახელითაა ცნობილი, პოპულარობით სარგებლობს. სხვა ნარკოტიკებთან ერთად, ჰეროინი, მეტადონი და მარიხუანა ხელმისაწვდომია ადგილობრივ ბაზარზე“, — ნათქვამია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში.

ამასთან, ანგარიშში აღნიშნულია, რომ ექიმებმა და ანალიტიკოსებმა შეშფოთება გამოთქვეს საქართველოში „ჯეფისა“ და „ვინტის“ გაზრდილი მოხმარების გამო, რომლის დამზადება სახლის პირობებშიცაა შესაძლებელი.

სახლში ასევე შესაძლებელია „კრაკადილის“ დამზადება მედიკამენტებთან კოდეინის შერევით, რომელიც რეცეპტითაა ხელმისაწვდომი, თუმცა ფარმაცევტები მას რეცეპტის გარეშე, „დახლსქვევიდან“ ჰყიდიან.

„საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ ვერ შეიმუშავა სახლში დამზადებული სტიმულატორებისა და ოპიოდების სტაბილურად მზარდი გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის ყოვლისმომცველი მექანიზმი“.

აშშ-ს 2014 წლის საერთაშორისო ნარკოტიკების კონტროლის სტრატეგიის ანგარიშში ისიცაა აღნიშნული, რომ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოსული საქართველოს მთავრობა დიდ პრიორიტეტს ანიჭებს ნარკოტიკების კონტროლს, რაზეც მეტყველებს 2013 წელს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ამოღებული ნარკოტიკების რაოდენობა. შედარებისთვის, წინა წლის ანგარიშში ბევრად ნეგატიურად იყო შეფასებული 2012 წლის განმავლობაში ნარკოტიკული საშუალებების ამოღების მცირე ოდენობა და აგრეთვე ნარკოტიკებზე არსებული სტატისტიკის წარმოება. ანგარიშის თანახმად, 2013 წელს საზღვრის უსაფრთხოების ზომების გაძლიერებამ და გამოძიებისა და ინსპექტირების მიმართ უფრო პროაქტიურმა მიდგომამ ნარკოტიკული საშუალებების ამოღების მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია. 2013 წელს საქართველოს პოლიციის მიერ ამოღებული 116 კგ ჰეროინის ფაქტი, წარმოადგენს საქართველოს მიერ საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ამოღების ყველაზე დიდ ოდენობას.

ანგარიშში, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ასევე აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ 2013 წლისთვის საქართველოს მთავრობამ გაზარდა ნარკოტიკებთან დაკავშირებული მკურნალობისა და პრევენციის ზომების დაფინანსება.

კორუფციასთან ბრძოლის კუთხით, ანგარიში აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობა წარმატებით აგრძელებს კურსს, რომელიც მიზნად ისახავს სამართალდამცავ ორგანოებში კორუფციასთან ბრძოლას: **„საქართველოს მთავრობა აგრძელებს რეფორმების გატარებას სამოქალაქო, საგადასახადო და სამართალდაცვით სფეროებში კორუფციის გამოსავლენად და მისი გამოვლენის შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად. დამკვიდრებული პოლიტიკის თანახმად, საქართველოს მთავრობა არ ახალისებს და არ უწყობს ხელს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო წარმოებასა და დისტრიბუციას, აგრეთვე, იგი არ არის ჩართული უკანონო ნარკოტიკული საშუალებების გასაღების შედეგად მიღებული სახსრების ლეგალიზაციაში. ნარკოტიკებთან დაკავშირებით არც ერთი სერიოზული კორუფციის ფაქტი არ დაფიქსირებულა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამართალდამცავ დანაყოფებში, საქართველოს მთავრობა არ ახალისებს და არ უწყობს ხელს ნარკოტიკების ტრაფიკს”.**

„ვერსიანიუსი“

ბეკონის სურნელი გაგალვიძებთ

ადრე გაღვიძება, განსაკუთრებით კი ზამთარში, ბევრ ადამიანს უჭირს. ზოგჯერ მაღვიძარის „უდროო“ დროს წკრიალი განწყობას მთელი დღით აფუჭებს და სწორედ მათთვის, ვისაც ადრე გაღვიძება უძნელდება და თანაც გემრიელ საუზმეზეც ვერ ამბობს უარს, სმარტფონებისთვის სპეციალური აპლიკაცია შექმნეს და ის ბეკონის შიშხინის ხმას გამოსცემს. ამასთან, სპეციალური მოწყობილობა, რომელიც სმარტფონს უერთდება, ბეკონის სურნელსაც აფრქვევს. ახალი მაღვიძარა-აპლკაცია, რომელსაც „გაიღვიძე და შეიგრძენი ბეკონი“ ჰქვია, ამერიკელმა ხორცის მწარმოებელმა, ოსკარ მაიერმა შექმნა.

ცუდად ცეკვის გამო დააპატიმრეს

ავსტრალიელმა სამართალდამცავებმა ღამის კლუბიდან ცუდი ცეკვისთვის გამოგდებული 20 წლის ახალგაზრდა მამაკაცი დააპატიმრეს. ზოგიერთმა არც უნდა დალიოს და არც უნდა იცეკვოს, — აცხადებენ პოლიციელები. ქალაქ დარვინის მცხოვრები ბიჭი პოლიციის განყოფილებაში იმის გამო მოხვდა, რომ კლუბიდან გამოგდებულმა, გაბრაზებულ გულზე, სამართალდამცველების მანქანა დააზიანა. ახალგაზრდა ძალიან მთვრალი იყო და მეტად გაღიზიანდა, როდესაც სთხოვეს, ღამის კლუბი თავზეხელაღებული ცეკვისთვის დაეტოვებინა, — ამბობს ერთ-ერთი პოლიციელი.

გაკვეთილები რეპის თანხლებით

ჩილეს ერთ-ერთ საშუალო სკოლაში ეს მასწავლებელი ბავშვებისთვის, ალბათ, ყველაზე საყვარელია — შეაღებს თუ არა კაბინეტის კარს, მაშინვე გადადის რიტმულ რეჩიტატივზე, რეპის სტილში გაკვეთილები კი მოზარდი თაობის ყურადღებას ნამდვილად იპყრობს. 26 წლის ჰანს ერერა რეპს ქალაქის ავტობუსებში ასრულებდა და მსგავსი ნაბიჯის გადადგმა შეჭირვებულმა მატერიალურმა მდგომარეობამ აიძულა. მოგვიანებით, ეს ამბავი მოსწავლეებმაც შეიტყვეს და მოუნდათ, პედაგოგს რეპი მათთვისაც ემღერა, უკვე რამდენიმე თვეა, ერერა ბავშვებს სტანდარტულ სასკოლო პროგრამას რეჩიტატივის სახით აცნობს. მასწავლებელს ამ უნიკალურმა მიდგომამ პოპულარობა მოუტანა, მისი მოსწავლეები გაკვეთილებზე გადაღებულ ვიდეოებს ავრცელებენ სოციალურ ქსელებში და ცდილობენ, გაკვეთილებისთვის კარგად მოემზადონ, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღებენ ჯილდოდ პედაგოგის რეპს.

ყველაზე უსარგებლო პროფესიები მსოფლიოში

ბრიტანული ანალიტიკური ცენტრის — New Economics Foundation მკვლევარებმა საზოგადოებისთვის ბევრი პრესტიჟული პროფესიის (ბანკირების, სარეკლამო აგენტებისა და საგადასახადოს ბუხჰალტრების) უსარგებლობა დაამტკიცეს. ეკონომიკურად სასარგებლო პროფესიების მეორე პოლუსზე აღმოჩნდნენ ძიძები, აღმზრდელები და მენაგვეები. სწავლულების კვლევის ობიექტი არსებული ექვსი პროფესია გახდა, რომელიც ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება როგორც ხელფასით, ისე სოციალური სტატუსით. ყოველი მათგანი საზოგადოებრივი სარგებლით შეაფასეს და აღმოჩნდა, რომ პრესტიჟულმა პროფესიებმა წააგო. ბანკირები, რომელთა ხელფასი წელიწადში 500 ათასიდან 80 მილიონ გირვანქა სტერლინგამდეა, საკუთარ ქვეყანას ყოველ გამომუშავებულ გირვანქაზე 7 გირვანქით აზარალებენ, სარეკლამო სააგენტოების მენეჯერებში ამ მხრივ შეფარდება 1-11,5-თან იყო, ხოლო ბრიტანეთისთვის ყველაზე გამაკოტრებელი საგადასახადოს ბუხჰალტრები აღმოჩნდნენ, მათთვის გადახდილ ყოველ გირვანქაზე ქვეყანა 47 გირვანქით ზარალობს. მკვლევარები გულისხმობენ არა ფულის დაკარგვას, არამედ ზედმეტ ხარჯს, რაც საზოგადოებამ გაიღო, მაგალითად, ბანკირები, სწავლულთა მოსაზრებით, პასუხისმგებელნი არიან ფინანსური კრიზისის წარმოქმნაში, რაც სარისკო საკრედიტო პოლიტიკითაც იყო გამოწვეული.

შედარებით მოკრძალებული პროფესიების წარმომადგენლები კი ხაზინას საკმაოდ ასარგებლებენ: ძიძები და აღმზრდელები, იღებენ რა საკუთარ თავზე ბავშვების მოვლას, მათ მშობლებს მუშაობის საშუალებას აძლევენ, თანაც მათ მიერ გამომუშავებულ ყოველ გირვანქას, 9,43 გირვანქა მოგება მოაქვს.

ადამიანი ტრილიონ არომაცს აჩენს

ამერიკელმა ბიოლოგებმა ადამიანის ცხვირის მგრძნობელობის შეფასების უნიკალური სისტემა შექმნეს, რისთვისაც არომატული ნარევები გამოიყენეს და დაასკვნეს, რომ ადამიანს ტრილიონზე მეტი სურნელის გარჩევა შეუძლია: პირველ ეტაპზე სწავლულებმა გამოყვეს 128 მოლეკულა, რომლებიც პასუხისმგებელია დამახასიათებელ სუნზე, როგორიცაა ანისი, პიტნა და სხვ. სპეციალისტებმა სხვადასხვა ინგრედიენტები გარკვეული პროპორციებით შეურიეს და რამდენიმე ასეული „უნიკალური“ ნარევი მიიღეს; კვლევის მეორე ეტაპზე მოხალისეებს სამი ჭურჭლიდან აძლევდნენ ნაკრებს დასასუნად, სადაც ორი იდენტური არომატული ნარევი იყო, ერთი კი — მოლეკულების განსხვავებული ნაკრები. ბიოლოგები იმის გარკვევას ცდილობდნენ, ადამიანის ცხვირი რა მომენტში ვერ შეძლებდა არომატის გარჩევას, მოხალისეები კი წარმატებით პოულობდნენ განსხვავებას. ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ ყნოსვის ორგანოს ტრილიონზე მეტი სხვადასხვა სუნის გარჩევა შეუძლია, სურნელის იდენტიფიცირების უნარი კი დამოკიდებულია ადამიანის ცხოვრების წესზე.

საგზაო პოლიციაში მხოლოდ ქალები იმუშავებენ

უახლოეს მომავალში პერუს დედაქალაქ ლიმას გზებზე უსაფრთხოებას მხოლოდ სუსტი სქესის წარმომადგენლები დაიცავენ, — ასეთი გადაწყვეტილება ლიმას მუნიციპალიტეტმა მას შემდეგ მიიღო, რაც გამოკვლევებით დადგინდა, რომ პოლიციელი მანდილოსნები მამაკაცებზე მკაცრები არიან და კორუფციისკენაც ნაკლები მიდრეკილება აქვთ. აქედან გამომდინარე, გადაწყვიტეს, საგზაო პოლიციაში კაცები ქალებით ჩაანაცვლონ. 8-მილიონიან ქალაქს, ქაოსური მოძრაობით გზებზე, სუსტი სქესი ტოტალურ კონტროლს გაუწევს.

სათვალე ძილის მოყვარულებისთვის

ახალი სათვალე, რომელიც იაპონელმა ინჟინერმა ჰიროტაკა ოსავამ შექმნა, განსაკუთრებით იმ სტუდენტებს მოეწონებათ, ვისთვისაც ლექციებზე ძილი უცხო არაა. მოწყობილობას, რომელსაც AgencyGlass უწოდეს, აქვს კამერა, გადამცემები, ორი OLED-დისპლეი, რომელიც თვალების ეფექტს ქმნის და AgencyGlass იმ ადამიანის მოძრაობასაც აკვირდება, რომელიც საუბრობს. საკუთარ ქმნილებას იაპონელი გამომგონებელი სერიოზულად არ მიიჩნევს და ამბობს, რომ ეს თავის შესაქცევი ექსპერიმენტია.

ქმრის ყურადღების მისაქცევად იქურდა



32 წლის იტალიელმა ქალბატონი, ორი შვილის დედა შეეცადა, ქმარი ვირტუალური რეალობიდან მოეწყვიტა და ქურდობა განიზრახა — ერთ-ერთ პენსიონერს საფულე ამოაცალა, შემდეგ კი, ნივთმტკიცებით ხელში, პოლიციაში გამოცხადდა, სადაც ჩადენილი დანაშაული აღიარა. მას იმედი ჰქონდა, რომ ქმრის ყურადღებას მიიქცევდა, თუმცა რამდენად გაამართლა ამ უცნაურმა ნაბიჯმა, უცნობია, სამაგიეროდ ფაქტია, რომ ქალს საფულის მოპარვისთვის ოთხთვიანი პატიმრობა ემუქრება.

დეპარდიეს რუსეთის მოქალაქეობა ეამაყება

საათების შვეიცარულმა ფირმამ Cvstos ფრანგი მსახიობის, ჟერარ დეპარდიეს დაკვეთით, ექსკლუზიური სერია გამოუშვა სახელწოდებით, „რუსად ყოფნა მეამაყება“. საათის ციფერბლატზე ორთავიანი არწივია გამოსახული და ის ოქროთია დამზადებული, სიახლის ფასი კი ჯერჯერობით უცნობია. პოპულარული ფრანგი მსახიობი რუსეთის მოქალაქე 2013 წელს გახდა, სამშობლოდან გაქცევის გადაწყვეტილება კი დეპარდიემ მას შემდეგ მიიღო, რაც ფრანსუა ოლანდმა შეძლებული ადამიანებისთვის 75%-იანი გადასახადი შემოიღო.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

სუდოკუ ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	6		3	9		5		
	7							
		9	6	5		8		
7					1		2	6
1	4		8					5
		7		3	6	4		
							7	
		5		2	8		3	

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	4		3				1	
		6		5		4	9	7
		7			1	8		
	8		5	6				
				8	3		2	
		3	1			9		
7	2	9		3		1		
	6				8		7	

ᲠᲗᲣᲚᲘ

								5
						8	7	
		8	5		4		9	6
	1	2	8				6	
5				2				9
	6				7	2	5	
4	3		1		6	9		
	8	9						
1								

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

9		7	6	3			1	
	8		4					
5		3			8			
	5				2			
		9		8		2		
			7				3	
			1			8		3
					6		7	
	9			5	3	6		2

საბავშვო ეტლი მავნეა

თუ ბავშვი დიდ დროს ატარებს საბავშვო ეტლში, მეტყველების განვითარებასა და ფიზიკური უნარების ათვისებაში პრობლემები ექმნება, — ასეთ დასკვნებს აკეთებენ მეცნიერები. ეტლში ყოფნა ამცირებს სამყაროს აღქმისა და მშობლებთან ურთიერთობის შესაძლებლობას, რამაც, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს არა მხოლოდ ბავშვის გონებრივ შესაძლებლობებზე, არამედ მის ცხოვრებაზე. ანალოგიურ პრობლემებს ქმნის პლანშეტისა და სმარტფონის გამოყენება. თუ პატარას ხელი მიუწვდება ამ ტექნიკაზე, ის ნაკლებად თამაშობს, ლაპარაკობს, მღერის... აღსანიშნავია, რომ ბალანსი და კოორდინაცია ყალიბდება ბავშვის დაბადებიდან პირველი 36 თვის განმავლობაში, ამ დროს მეტად მნიშვნელოვანია მხედველობითი კონტაქტი სხვა ადამიანებთან, მაგრამ, თუ პატარა ხშირად ზის ეტლში, მშობლებისგან ზურგით, ეს ხელს უშლის მის განვითარებას.

კაკალი დიაბეტისგან დაგიცავთ

თუ კვირაში 2-3-ჯერ მაინც მიირთმევთ კაკალს, ორგანიზმში დიაბეტის საფრთხის შემცირებას მნიშვნელოვნად უწყობთ ხელს, — ასეთი დასკვნა გამოიტანეს სწავლულებმა ჰარვარდის სამედიცინო სკოლიდან. კაკალს რომ დიაბეტის საწინააღმდეგო ეფექტი აქვს, ამაზე მეცნიერები დიდი ხანია საუბრობენ, თუმცა ბოლოს ჩატარებული კვლევა ყველაზე გლობალურია. მასში 35-დან 77 წლამდე ასაკის, 137 893 ამერიკელი ქალბატონი მონაწილეობდა და აღმოჩნდა, რომ მოხალისეები, რომლებიც დღეში 28 გრამ კაკალს რეგულარულად იღებდნენ, ამ დაავადების წინააღმდეგ თავდაცვით ეფექტს გამოიმუშავებდნენ. სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ კაკალი ერთი და იგივე ზემოქმედებას ახდენს როგორც მამაკაცებზე, ასევე ქალებზე. გამოკვლევა 10 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, ამ დროს ითვალისწინებდნენ მოხალისეების წონას, დიეტისადმი მათ დამოკიდებულებასა და ორგანიზმში ცხიმების შემცველობას. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თვეში 2-3-ჯერ კაკლის მიღება დიაბეტის განვითარების რისკს 4%-ით, კვირაში ერთხელ მიღება 13%-ით, კვირაში ორჯერ კი 24%-ით ამცირებს.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

2	8	3	7	4	6	5	1	9
4	1	9	8	3	5	7	2	6
6	7	5	2	1	9	8	4	3
1	6	4	9	8	3	2	5	7
9	5	2	6	7	4	3	8	1
8	3	7	5	2	1	6	9	4
7	4	8	3	9	2	1	6	5
5	2	1	4	6	7	9	3	8
3	9	6	1	5	8	4	7	2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

3	5	8	4	2	1	9	7	6
9	6	2	8	7	5	1	4	3
4	1	7	6	9	3	8	5	2
7	4	1	3	6	9	2	8	5
6	3	5	2	8	4	7	1	9
8	2	9	5	1	7	6	3	4
2	9	4	1	5	8	3	6	7
5	8	6	7	3	2	4	9	1
1	7	3	9	4	6	5	2	8

ᲠᲗᲣᲚᲘ

7	9	5	2	4	3	1	8	6
1	6	4	7	8	5	9	3	2
8	2	3	1	9	6	7	5	4
9	5	8	6	3	7	2	4	1
6	4	2	5	1	9	8	7	3
3	7	1	8	2	4	6	9	5
5	1	9	4	7	2	3	6	8
4	8	7	3	6	1	5	2	9
2	3	6	9	5	8	4	1	7

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

3	6	5	2	4	7	1	9	8
8	4	2	6	1	9	7	3	5
1	9	7	8	5	3	4	6	2
2	3	1	7	9	5	8	4	6
9	8	6	4	3	2	5	7	1
7	5	4	1	8	6	3	2	9
6	2	3	5	7	8	9	1	4
5	1	9	3	6	4	2	8	7
4	7	8	9	2	1	6	5	3

მე-12 გვერდი: 1. აისბერგი; 2. ინსულინი; 3. ბიურგერი; 4. რუანი; 5. ნონსენსი; 6. ორქიდეა; 7. სუნი; 8. ნუაქშოტი; 9. ესკულაპი; 10. ისანი; 11. ნოვაკ; 12. ტალინი; 13. აქანდაზი; 14. ოლსენი; 15. იბერია; 16. რაში; 17. ლიგნიტი; 18. ოდა; 19. აზანი; 20. ირისი; 21. ელიბო; 22. იდუმალი; 23. ლისეო; 24. იდიში; 25. ატამი; 26. ექო; 27. არქივი; 28. ნარვალი; 29. დიზაინი; 30. მედუზა; 31. ტომი; 32. ასკეტი; 33. თემიდა; 34. კანი; 35. ადიტი; 36. არმადა; 37. ასიკო; 38. ედირნე; 39. მაყალი; 40. კარე; 41. ლუკა; 42. რქა; 43. ნაი; 44. მაატი; 45. ნიშადური; 46. „შინ“; 47. უზი; 48. პეტანკი; 49. სან; 50. ყადი; 51. ურა; 52. აგა; 53. აქატი; 54. კეა; 55. ლიეპა; 56. შუქურა; 57. ჯეინ; 58. ლიე; 59. დოდეკაგონი; 60. ალა; 61. ონი; 62. უშუ; 63. მენელაე; 64. ინა; 65. ოლქი; 66. პიკი.

კავას ლუკოჯი ფერი ჩაანაცვლებს?

მეცნიერები აცხადებენ, რომ ყურადღების კონცენტრაციის ასამაღლებლად და მხნეობის მისანიჭებლად სულაც არ არის აუცილებელი, ადამიანმა დილაობით ყავა დალიოს, მით უმეტეს, რომ ამ სასმელს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ბევრი ვერ მიირთმევს. შვეიცარიელმა სწავლულებმა რამდენიმე ექსპერიმენტი ჩაატარეს, რაც იმის მტკიცების საშუალებას იძლევა, რომ ლურჯი ფერი გავლენას ახდენს ადამიანზე და მას განსაკუთრებული ეფექტი ახასიათებს. სხეულის ქსოვილებისთვის ეს ფერი აბსოლუტურად უსაფრთხოა, მაგრამ მისი ზემოქმედებით ორგანიზმში ზოგიერთი პროცესი იცვლება. სწავლულებმა მოხალისეებზე ჩაატარეს გამოკვლევა და აღმოჩნდა, რომ ამ ფერის ზემოქმედებით, ისინი გაცილებით უკეთ უმკლავდებოდნენ ტესტებს ყურადღებასა და კონცენტრაციაზე. ამავე დროს, სხვა ჯგუფის ნევრები კოფეინის დიდ დოზას იღებდნენ, თუმცა ამ ჯგუფში ანალოგიური შედეგი ვერ მიიღეს. მეცნიერთა კვლევა ნაწილობრივ ხსნის იმ ფაქტს, რატომაა ზოგიერთ ქვეყანაში უძილობის ეპიდემია, რასაც სპეციალისტები, პირველ რიგში, იმ ფაქტს უკავშირებენ, რომ ტელევიზორისა თუ კომპიუტერიდან ლურჯი გამოსხივება მოდის, შედეგად მელატონინი ქვეითდება და ორგანიზმს უჭირს ძილის მდგომარეობაში გადასვლა. ექსპერიმენტის შედეგების მიხედვით, მკვლევარები ამტკიცებენ, რომ პილოტებისა და მემანქანეების კაბინებში ლურჯი განათების დაყენებაა აუცილებელი, რადგან ის იდეალურ კონცენტრაციას უწყობს ხელს.

A-ᲕᲘᲢᲐᲛᲘᲜᲘ ᲡᲘᲛᲡᲘᲕᲜᲔᲡ ᲐᲰᲔᲜᲡ



A-ვიტამინი დიდი ხანია ცნობილია, როგორც ძლიერი ანტიოქსიდანტი, რომელიც ორგანიზმს თავისუფალ რადიკალებთან ბრძოლაში ეხმარება და ონკოლოგიური დაავადებებისგან გვიცავს. ამის მიუხედავად, ბრიტანელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ A-ვიტამინის შემცველი დანამატების მიღება სრულიად საპირისპირო ეფექტს იძლევა — პრეპარატი გარდაიქმნება ორგანოების ჯანმრთელობისთვის აუცილებელ ბეტა-კაროტინად. დიდი ბრიტანეთის ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტის სპეციალისტებმა შეამოწმეს, რამდენად შესაძლებელია ბეტაკაროტინის ბაზაზე საკვები დანამატის შექმნა, რომელიც ონკოდაავადებებს გაუმკლავდება, მაგრამ 8-წლიანი ექსპერიმენტი კრახით დასრულდა. აღმოჩნდა, რომ ხელოვნური სახით, ეს ვიტამინი სულ სხვაგვარად მოქმედებს — კი არ ამცირებს, პირიქით, ზრდის ონკოლოგიურ დაავადებათა განვითარების რისკს — ეს მაჩვენებელი ექსპერიმენტის მონაწილეებში 25%-ით გაიზარდა. ასე რომ, სპეციალისტები არ გვირჩევენ, დიდი დოზით A-ვიტამინის შემცველი კომპლექსის მიღებას.

„ინფარქტის გენი“ აღმოაჩინეს

გერმანიის კარდიოლოგიური ცენტრის სწავლულებმა გენური ვარიაცია აღმოაჩინეს, რომელიც გულის შეტევის რისკს 15%-ით ზრდის და განაცხადეს, რომ ადამიანების ნახევარზე მეტი, შესაძლოა, გენის ამ ვარიანტის მატარებელი იყოს. მკვლევარებმა 30 ათასი პაციენტის

მონაცემები შეისწავლეს და აღმოაჩინეს, რომ მათგან 64% გენური მუტაციის მატარებელი იყო — „წებოვანი თრომბოციტები“ ინფარქტის რისკს ზრდის. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მათი აღმოჩენა ხელს შეუწყობს პრეპარატების შექმნას, რომელიც თრომბოციტების „წებოვნებას“ შეამცირებს და ამით გულის შეტევის ალბათობაც საკმაოდ დაბალი იქნება. გერმანელი სწავლულები ამჟამად ტესტების შექმნაზე მუშაობენ, რომელიც შეცვლილი გენის მატარებლების დადგენაში დაეხმარება.

ᲒᲐᲠᲗᲝᲕᲐ



ცოტა ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა

აგავასგან მიღებულმა ნატურალურმა შაქარმა (აგავინები) ლაბორატორიული მღრღნელები წონაში მატებისა და მეორე ჯგუფის დიაბეტის განვითარებისგან დაიცვა, — ექსპერიმენტისას მექსიკელმა სწავლულებმა თაგვები ორ ჯგუფად დაყვეს, ერთს ჩვეულებრივ წყალს ასმევდნენ, მეორეს — წყალს გლუკოზით, ფრუქტოზითა და აგავინებით, შედეგად კი ეს თაგვები ნაკლებს ჭამდნენ და არც წონაში მოუმატიათ, სისხლში შაქრის მაჩვენებელიც ნაკლები იყო. აგავინებს უჯრედისის მსგავსი მოქმედება ახასიათებს, არ ამატებს შაქრის დონეს და შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც უნივერსალური დამატკბობელი, აგავინების შემცველი საშუალებები კი აუცილებელია დიაბეტიანებისა და ჭარბწონიანებისთვის.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ანი ბეშიტაიშვილი.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.